ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 3 მაისი, 2013 | №104 (6105) | ფასი: 30 თეთრი

1 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა საპატრიარქოს
8 ლარი
პირველი ტომი




# რატომ გადადგა დავით კირვალიძე!

„მე ვიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მიმდინარე მოვლენებზე“

გვ.3

დავით კირვალიძემ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, გამოძიება მიმდინარეობს და ჯეროვნად შეფასების გაკეთება რთული იქნება, ვიდრე საქმის ძიება ბოლომდე არ დასრულდება, თუ ის ადამიანები გამართლდებიან, დავით კირვალიძე თანამდებობას დაუბრუნდება



## კახა კალაძე პესების გამო ხათუნა გოგალაძეს ეჩხუბა

გვ.5



## ვანო მერაბიშვილის დედა სამსახურიდან გაუშვეს

გვ.5



გვ.2

## კახა კუკავა: „საპრეზიდენტო არჩევნებზე ივანიშვილი საკუთარ კანდიდატურას დააყენებს“



## ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიციამ უფლებამოსილებას არ გადააჭარბა!“

გვ.3

## კობა დავითაშვილი ირაკლი ღარიბაშვილს დაუპირისპირდა



გვ.5



გვ.6

## ნუ წამართმევ პარლამენტს ანუ მაისურის აუტოდაფე

## გულბაათ რცხილაძე: „საქართველოს მთავარი საფრთხე საკუთარი ხელისუფლებაა“

გვ.4



29 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ქართული ფენომენი
ტომი 1
8 ლარი
თეკლა ბატონიშვილი




ISSN 1987-9385

2 შსს საქართველოს 6 მოქალაქის გათავისუფლებასთან დაკავშირებით ოსურ მხარესთან მოლაპარაკებებს განაგრძობს

4 რა მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

2 ვალეს საბაჟოს გავლით 5 ტონამდე დაავადებული კარტოფილის შემოტანას ცდილობდნენ

4 შსს 1 მაისის აქციის დემონსტრანტების მიერ წესრიგის დარღვევის ამსახველ ვიდეომასალას აქვეყნებს

# კახა კუკავა: „საპრეზიდენტო არჩევნებზე ივანიშვილი საკუთარ კანდიდატურას დააყენებს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, მოდით, ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები შევაფასოთ, თუმცა დავიწყოთ გუშინდელი აქციის დარბევით. დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ამ ფაქტს. თქვენ, როგორც ახალი ხელისუფლების ოპოზიცია, როგორ შეფასებას მისცემდით ამ ინციდენტს?***

— მე დეტალურად არ ვიცი გუშინდელი დარბევის ფაქტი, მაგრამ, როგორც ვიცი, არის თავის მართლება იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მომიტინგეებმა დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი. თუმცა ჩვენ გვახსოვს, რომ ყველა დარბევის დროს ეს იყო პოლიციის არგუმენტი. მე მინდა, უბრალოდ, ვურჩიო შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ყველაზე უკეთესი ფორმა ასეთ დროს საზოგადოებასთან დიალოგია. უნდა შეიქმნას კომისია, რომელშიც შეყვანილი იქნებიან ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და მათთან ერთად ჩატარდება ამ საქმეზე მოკვლევა. ყველაზე უკეთესი ფორმა, რომ საზოგადოების ინტერესი იქნეს დაკმაყოფილებული, ყოველთვის არის არა შიდაუწყებრივი გამოძიება, არამედ ასეთი ტიპის საზოგადოებრივი კომისიების შექმნა. ეს არის მიღებული ფორმა დასავლეთის ქვეყნებში. ჩვენ თუ გვინდა, მართლაც შევქმნათ ევროპული დემოკრატია, რაღაც-რაღაცები ევროპისგანაც უნდა ვისწავლოთ და არა რაღაც საბჭოთა ტრადიციები გავარღვიოთ. გუშინ კიდევ იყო ერთი შემაშფოთებელი მოვლენა, როცა საღამოს დაპატიმრებული იყვნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოვნიკები, რამაც გააჩინა ეჭვი, ხომ არ მოხდა ეს ახალი ამბების გადაფარვის მიზნით, როგორც ხდებოდა სააკაშვილის მთავრობის დროს.

***— ასევე დავით კირვალიძეც გადადგა.***

— დიახ, კირვალიძის გადადგომასთან დაკავშირებით ხმები ვრცელდებოდა დიდი ხანია. უბრალოდ, ეს ყველაფერი რომ დაემთხვა გუშინდელ მოვლენებს, ამან გარკვეული ეჭვები გააჩინა. საბედნიეროდ, ეს არ არის ისეთი ტრაგედია, როგორც 7 ნოემბერი და 26 მაისი, მაგრამ, ჩემი აზრით, არის არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა და გეტყვით, რატომ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო, თუ გახსოვთ, მოჭიდავეების აქცია, რომელიც დაარბიეს კანონის ნორმების უგულებელყოფით, მერე იყო ბათუმის ბაზარში დარბევა, რომელიც ასევე კა-



ნონის ნორმების უხეში დარღვევით იქნა დარბეული. მაშინ საზოგადოება ჩვენ გვაკრიტიკებდა და გვეუბნებოდა, რა გინდათ, ვინ მოჭიდავეებს უჭერთ მხარს, ვინ კალატოზას, რა ბაზარი აგიტყდათ და თვლიდა საზოგადოება, რომ არ შეიძლება ასეთ საკითხებზე აქციების გამართვა. თუმცა, იმის გამო, რომ ამ დარბევების დროს ხელისუფლებას შერჩა, შემდგომში მან უკვე დაუსჯელად მოაწყო 7 ნოემბერი და 26 მაისი. თუ კანონი მოქმედებს, იმან უნდა იმუშაოს ყველა შემთხვევაში. რთულ შემთხვევებშიც, საშუალო შემთხვევებშიც და სუსტ შემთხვევებშიც. ვერ ავაშენებთ ჩვენ ნორმალურ ევროპულ სახელმწიფოს, თუ გვექნება ასეთი ნორმა, რომ ახლა პირველი მაისი და ბავშვების საკითხია და არა უშავს, თუ დაარბევენ. ასეთი კანონი არ არსებობს. კანონი არსებობს ან არ მუშაობს. ამიტომაც არის გუშინდელი საქმე პრეცედენტული, რომ თუ არ გვინდა, მივიდეთ ახალ გირგვლიანამდე და ახალ 26 მაისამდე, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, გუშინ ტრაგიკული არაფერი მომხდარა, მაინც, არატრაგიკული ფაქტებიც უნდა იქნეს ადეკვატურად გამოძიებული.

***— ბატონო კახა, არჩევნებს რაც შეეხება ნაძალადევის რაიონში, საუბარი იყო, რომ თქვენ ერთ-ერთი მაღალრეიტინგული კანდიდატი იყავით, თუმცა დამარცხდით... რა დაგანახვათ ამ არჩევნებმა?***

— ამ არჩევნებმა დაგვანახვა ის, რაც, პრინციპში, ისედაც ვიცოდით, რომ არჩევნებში რეიტინგი არის საქმის ერთი მესამედი, მაგრამ საქმის ორი მესამედი — ეს არის ორგანიზება და ფული. ჩვენ რეიტინგებში გვქონდა ჩვენი უპირატესობა კონკურენტთან, მაგრამ, იმის გამო, რომ მოწინააღმდეგეს ჰქონდა უფრო ძლიერი ორგანიზება, უფრო მეტი ფული და მათ მოიპოვეს გამარჯვება. ამიტომ შემდგომი არჩევნებისთვის, ბუნებრივია, ჩვენ მოგვიწევს ამ ხარვეზების გამოსწორება.

***— თქვენ ნაციონალებზე მაღალი პროცენტი აჩვენეთ და ამის თაობაზე რას ფიქრობთ?***

— ჩვენ მაღალი რეიტინგი ვაჩვენეთ. ჩვენსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის საკმაოდ დიდი სხვაობა დაფიქსირდა. უბრალოდ, ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა საშუალება, რომ ათი კოორდინატორი დაესაქმებინა და რეკლამები გაეშვა ყველა არხზე. ბუნებრივია, ჩვენ ამის შესაძლებლობა არ გვქონდა. მე ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობას ცუდი შედეგი არ უჩვენებია, პრინციპში. ხელისუფლებიდან გაგდებული ძალა 15%-ს რომ იღებს საქართველოში, მე ვფიქრობ, ეს მათთვის კარგი შედეგია. რაც შეეხება ჩვენს 17%-ს, მე ვფიქრობ, დღეს საზოგადოებაში მიდის ის პროცესი, როდესაც იქმნება რეალური პოლიტიკური სპექტრი. ჩვენთან არჩევნები ყოველთვის ტარდებოდა პოლარიზებულ ვითარებაში. შევარდნაძე თუ აბაშიძე, შევარდნაძე თუ სააკაშვილი, სააკაშვილი თუ ივანიშვილი და ასეთ დროს პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება იყო შეუძლებელი. ამ შუალედურ არჩევნებზე, იმის გამო, რომ ფსონი ძალიან მაღალი არ იყო, ამომრჩეველმა გააკეთა რეალური არჩევანი და გამოჩნდა, რომ ჩვენს საზოგადოებაში, გარდა სააკაშვილისა და ივანიშვილისა, არსებობს კიდევ ასეთი სეგმენტი, რომელსაც ეწოდება ეროვნული იდეოლოგია, მემარცხენე იდეოლოგია, რომელსაც თავისუფალი საქართველო გამოხატავს და მე იმედი მაქვს, რომ ეს სეგმენტი კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში.

***— ბატონო კახა, აქტიურად მიდის საუბარი იმის თაობაზე, რომ ჩამოყალიბდეს მესამე ძალა, რომელიც ოპონირებას გაუწევს როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ისე დღევანდელ ხელისუფლებას.***

— მე ვფიქრობ, ეს თემა აქტუალური იყო 27 აპრილამდე. 27 აპრილის შემდგომ შეიძლება ვილაპარაკოთ მეოთხე ძალის ჩამოყალიბებაზე, იმიტომ რომ პირველი, მეორე და მესამე ადგილები საზოგადოებამ გაანაწილა. მეორე პოლიტიკური ძალა ქვეყანაში არის თავისუფალი საქართველო, მესამე პოლიტიკური ძალა არის ნაციონალური მოძრაობა. ვინ იქნება მეოთხე, ამაზე დანარჩენმა ოპოზიციამ იაქტიუროს.

***— საუბარია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე და რა შანსები აქვს ამ არჩევნებში ოპოზიციურ კანდიდატს?***

— მე ვფიქრობ, ოპოზიციის გამსხვილება, რა თქმა უნდა, არ არის ცუდი მოვლენა და ამ მიმართულებით შეიძლება ვიმუშაოთ. აქ გადამწყვეტი იქნება ის, თუ ვინ იქნება ხელისუფლების საპრეზიდენტო კანდიდატი. „თავისუფალი საქართველოსთვის“, რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ჩვენ ჩვენი კანდიდატის მეორე ადგილისთვის კი არ ვიბრძოლოთ, არამედ ჩვენ ვიბრძოლოთ კარგი კანდიდატის პირველი ადგილისათვის. სახელდება ბევრი სხვადასხვა კანდიდატი, ზოგიერთი მე მეჩვენება ხანდახან, რომ კომიკურია, ამიტომაც „თავისუფალ საქართველოში“ ჩვენ ვმსჯელობთ, შეიძლება ჩვენ არ დავაყენოთ ჩვენი კანდიდატი, მაგრამ წარმოდგენილ სხვადასხვა კანდიდატს შორის საუკეთესოზე გავაკეთოთ არჩევანი და ყველა ღირსეულს მივეხმაროთ არჩევნების მოგებაში.

***— დღეს თუ ხედავთ ოპოზიციაში ასეთ კანდიდატს? ბევრი საუბრობს ნინო ბურჯანაძეზე, თუმცა ჯერჯერობით ის დუმს.***

— ყველაფერი შედარებითია. რომ გითხრათ, უკეთესის სურვილს ტოვებენ წარმოდგენილი კანდიდატები. ახლა მათ შორის შედარებითობა არსებობს. მაგალითად, მე რამე ანტიპათია კი არა მაქვს კახა კალაძის მიმართ, მაგრამ, არ შეიძლება, ფეხბურთელი ყოველგვარი გამოცდილებისა და განათლების გარეშე იქნეს ქვეყნის პრეზიდენტად არჩეული. მაგალითად, იგივე ირაკლი ალასანია, რომელიც შეიძლება ჩვენი ხედვებიდან განსხვავდება ფუნდამენტურად, ბუნებრივია, რომ უფრო შესაფერისი კანდიდატურაა პრეზიდენტის პოსტზე. ასე შედარებითობით ჩვენ შეგვიძლია, სხვა კანდიდატურებიც შევაფასოთ. მე ვისურვებდი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი იყოს გაწონასწორებული ადამიანი. ის არ უნდა იყოს მარიონეტი, უნდა შეეძლოს კრიტიკულ ვითარებაში გადაწყვეტილებების მიღება და, რაც მთავარია, ცნობიერებით უნდა იყოს ქართველი. ჩვენი ქვეყნის პრობლემა არის ის, რომ ჩვენი ხელისუფლების ხელმძღვანელები ცდილობენ ქვეყნის გადაკეთებას ხშირად იმის გამო, რომ თვითონ არ არიან ცნობიერებით ქართველები. შევარდნაძე ძალიან დიდი ხანი ცხოვრობდა მოსკოვში, სააკაშვილი — ამერიკაში, ივანიშვილი — საფრანგეთში და ისინი საკმაოდ დაშორებული არიან ქართველი ადამიანის ცნობიერებასა და ფსიქოლოგიას. მე ვისურვებდი, რომ საქართველოს პრეზიდენტი იყოს ადამიანი, რომელსაც შეეძლება საქართველოსა და ქართველების გაგება.

***— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს ოცნების კანდიდატი?***

— მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილი და ამაზე, სხვათა შორის, უსუფაშვილი ალაპარაკდა უკვე, ამ კანდიდატურებს ასახელებს მხოლოდ და მხოლოდ ყურადღების გადატანის მიზნით და, არ არის გამორიცხული, მან საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს პრეზიდენტის პოსტზე.

***— ივანიშვილმა?***

— დიახ, ივანიშვილმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის დააყენებს კალაძეს ან ხმალაძეს, შეიძლება, რაც ნაძალადევში მოხდა ის გამეორდეს, რომ ამ კანდიდატურამ ვერ დააგროვოს ხმათა 50%. განსხვავებით მაჟორიტარის არჩევნებისაგან, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმათა 40%-ით არჩევნებს ვერ მოიგებ. ამიტომაც ერთადერთი შანსი, ჩემი აზრით, რომ ივანიშვილმა ეს არჩევნები წარმატებით დაასრულოს, საკუთარი კანდიდატურის წარმოდგენაა.

***— მაშინ ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, მაშინ როცა პრემიერს გაცილებით მეტი უფლებები აქვს?***

— არაა ასე. ჩვენ გვახსოვს, რომ პრემიერ-მინისტრს ამ ქვეყანაში არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა. თვითონ ივანიშვილის პიროვნებიდან გამომდინარეა, რომ პრემიერმა მიიღო დატვირთვა, თუკი ივანიშვილი გახდება პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი ისევ მეორეხარისხოვან პოსტად გადაიქცევა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ის თავის კანდიდატურას წამოაყენებს?***

— მე ასე მგონია, იმიტომ რომ, თუ ის დააყენებს კალაძეს, მე, მაგალითად, მგონია, რომ ქართველი საზოგადოება მხარს დაუჭერს ალასანიას და ასეთ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ წააგებს ამ არჩევნებს.

***— მიიღებს ირაკლი ალასანია დამოუკიდებლად ამ არჩევნებში მონაწილეობას?***

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის დააყენებს ივანიშვილი. თუ ივანიშვილს ეყოლება სუსტი საპრეზიდენტო კანდიდატი, შეიძლება, ალასანიამ გარისკოს. ასე რომ, საკმაოდ საინტერესო პროცესები გველის.

## ქუთაისის საპყრობილეში კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

ქუთაისის №2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, მსჯავრდებული კ.ა. გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას სასჯელაღსრულების სამინისტრო ავრცელებს.

მათი ინფორმაციის თანახმად, გარდაცვლილი კ.ა. სასჯელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით იხდიდა.

როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის გახდა ცნობილი, 1 მაისს მსჯავრდებულმა, კუჭის ტკივილი მოიმიზეზა და სეირნობაზე უარი განაცხადა. სეირნობიდან დაბრუნებულმა თანასაკნელებმა კი, ის გარდაცვლილი იპოვეს.

სამინისტროს ცნობითვე, საგამოძიებო სამსახურის პირველადი ვერსიით ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას.( საკუთარი ზეწრის გამოყენებით — ასფიქსია).

საქმეს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძიებს.

ნიუსპრესი

## შსს საქართველოს 6 მოქალაქის გათავისუფლებასთან დაკავშირებით ოსურ მხარესთან მოლაპარაკებებს განაგრძობს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო წარმომადგენლების მიერ, გუშინწინ გატაცებული საქართველოს 6 მოქალაქის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერჯერობით კვლავ დაკავებულები არიან, ოსურ მხარესთან მოლაპარაკებებს აქტიურად განაგრძობს. ამის შესახებ შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

ამასთან, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტისა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად, უკანონოდ დაკავებული 5 მოზარდი უკვე გაათავისუფლეს.

შეგახსენებთ, რომ რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე. წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში, ჯონჯოლის საკრეფად წასული 11 მოქალაქე ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, ოსური მილიციის თანამშრომლებმა ისინი ჯერ ზნაურში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს.

ნიუსპრესი

## ვალეს საბაჟოს გავლით 5 ტონამდე დაავადებული კარტოფილის შემოტანას ცდილობდნენ

ვალეს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, ირანის ისლამური რესპუბლიკიდან 4733 კგ კარტოფილით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალება შემოვიდა. სათანადო პროცედურების დროს, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტის ფიტოსანიტარმა ოფიცრმა, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო პროცედურების განხორციელებისას, ეჭვის საფუძველზე ლაბორატორიული კვლევისთვის კარტოფილის ნიმუში აიღო.

ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, ირანიდან იმპორტირებულ პროდუქტში კარტოფილს მავნებელი, კარტოფილის ჩრჩილი (პჰტჰორიმაეა ოპერცულელლა ზელლ) გამოვლინდა.

საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდა.

ნიუსპრესი

## სააკაშვილმა დაჭრილი სამხედროები მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამერიკაში ვიზიტის ფარგლებში, სამხედრო ჰოსპიტალში, სხვადასხვა დროს აისაფ-ის მისიაში მონაწილე და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები მოინახულა. ინფორმაცია ამის შესახებ პრეზიდენტის ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდზე ვრცელდება.

სააკაშვილმა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს — ვიცე-პოლკოვნიკ ალექსანდრე ტუღუშს, კაპიტან ვახტანგ დოლიძეს, კაპრალ ახმედ საფაროვს, სერჟანტ ჯონი თოფურიასა და კაპრალ დავით ნარეშელაშვილს გამოჯანმრთელება და მხნეობა უსურვა. ქართველი სამხედროები საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ჰოსპიტალში ადმირალმა და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნებმა მოინახულეს.

ვიცე-პოლკოვნიკი ალექსანდრე ტუღუში სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის დროს გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის, მამაცობისა და მხედრული ვალის პირნათლად მოხდისთვის, ვახტანგ გორგალის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით არის დაჯილდოებული.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „პოლიციამ უფლებამოსილებას არ გადააჭარბა!“

ნათია ხურცილავა

სტუდენტური ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918“ მიერ 1 მაისს გამართული აქციის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა.

რა მოხდა რეალურად? ვის აწყობდა რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენები? რამდენად მოქმედებ-



დნენ კანონის ფარგლებში პოლიცია და აქციის მონაწილეები? რატომ უშლიდა ხელს ჟურნალისტებს მუშაობაში პოლიცია? შეიძლება თუ არა მერაბიშვილის პოლიციასა და ღარიბაშვილის პოლიციის ქმედებას შორის პარალელის გავლება?

ამ კითხვებზე ირაკლი ღარიბაშვილის პასუხი ასეთია:

– გუშინდელ აქციაზე პოლიცია მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო.

– სამწუხაროა, რომ სტუდენტების მიერ დაგეგმილი მშვიდობიანი მანიფესტაცია არაორგანიზებულ, ქაოტურ შეკრებაში გადაიზარდა. ჩვენი ხელისუფლება მიესალმება სტუდენტების აქტიურობას, მათი ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავდროულად ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ კანონი არ დავარღვიოთ. პოლიცია მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო. მათ საზოგადოებრივი წესრიგი დაიცვეს, სერიოზული ნიშნები იყო, დაზიანებები, გამვლელ მძღოლს მანქანა აბსოლუტურად უმიზეზოდ დაუზიანეს, ამის კადრები არსებობს. აქციის რამდენიმე მონაწილე აგრესიულობით გამოირჩეოდა, რაც მთლიან მასას გადაედო. საბოლოო ჯამში ჩვენ არამშვიდობიანი მანიფესტაცია მივიღეთ, იმედი მაქვს, რომ ისინი ამას მომავალში აღარ გაიმეორებენ. – განაცხადა ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ პოლიციამ აბსოლუტურად ადეკვატური რეაგირება მოახდინა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გვითხრა, რომ დაკავებულ იქნა რამდენიმე წევრი, რომელიც დესტრუქციულად გამოირჩეოდა.

– განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ეს ნებისმიერ ქვეყანაში ხდება. ჩვენ ვართ ხელისუფლება და ეს არის სახელმწიფო, თუ გნებავთ, ქაოსი, მაშინ მხარი უნდა დაუჭიროთ გუშინდელ არასასურველ ფორმებს, მაგრამ თუ გინდათ დამშვიდებული სახელმწიფო, მაშინ კანონი უნდა იქნეს დაცული. – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ხოლო ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე – რატომ შეეშალათ პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს ჟურნალსიტებს ხელი? მინისტრის პასუხი ასეთია:

– მიკროფონი შეიძლება, სტუდენტმაც დაიჭიროს.

ასე ახსნა ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, გუშინდელ აქციაზე ორი ჟურნალისტის დაკავების ფაქტი.

– პოლიციელებმა საკმარისზე მეტი მოითმინეს, რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ამ ინციდენტში მოჰყვა ორი ჟურნალისტი. მე გულწრფელად ვწუხვარ მათ გამო, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ პოლიციელი იმ დროს, ადგილზე ვერ გაარკვევდა ვინ იყო ჟურნალისტი და ვინ არა. – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ხოლო იმის საპასუხოდ, რომ ამ ჟურნალისტებს მიკროფონი ჰქონდათ თან, ღარიბაშვილმა დასძინა, რომ მიკროფონი შეიძლება, სტუდენტმაც დაიჭიროს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ 1 მაისის გამართული აქციის დემონსტრანტების მიერ წესრიგის დარღვევის ამსახველი ვიდეომასალა გამოაქვეყნა.

– 1 მაისის აქციასთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო, თითქოს პოლიციამ უფლებამოსილებას გადააჭარბა, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს გარე სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებულ კადრებს. აღნიშნულ ვიდეომასალაში ნათლად ჩანს, თუ როგორ არღვევენ დემონსტრანტები საზოგადოებრივ წესრიგს, რაც გამოიხატა შენობების იერსახის დამახინჯებასა და მოქალაქეების კუთვნილი ავტომანქანების დაზიანებაში. – აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

რაც შეეხება პოლიციის დღის აღნიშვნას, პოლიციის დღე 6 მაისის ნაცვლად 19 მაისს აღინიშნება.

აღნიშნული ინფორმაცია ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მიაწოდა.

– 6 მაისის ნაცვლად ქართული პოლიციის დღე გაიმართება 19 მაისს და ეს გამოწვეულია აღდგომის დღესასწაულით. – განაცხადა მინისტრმა.

1 მაისს მომხდართან დაკავშირებით ვიცე პრემიერ-მინისტრი კახი კალაძე თავის შეფასებებს აკეთებს. – „ლაბორატორია 1918“-ის მიერ ორგანიზებულ აქციას მთლად მშვიდობიანს ვერ უწოდებს. – ამბობს კალაძე.

– ძალიან ცუდია ის, რაც მოხდა, მთლად მშვიდობიანს ვერ ვუწოდებდით იმას, რასაც გუშინდელ აქციაზე ჰქონდა ადგილი, იმის მიხედვით თუ როგორ იქცეოდნენ აქციაზე მყოფი ადამიანები. პოლიციის მხრიდან ნორმალური საქციელი იყო, რაც გააკეთეს. – განაცხადა კალაძემ.

## უბედურ შემთხვევას ტაბიძის ქუჩაზე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

უბედური შემთხვევა მოხდა გუშინ თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე. თბილისის მერიის ყოფილ შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებების დროს სარტყელი ჩამოიშალა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

უბედური შემთხვევის დროს, დაშავდა ასევე ორი ადამიანი, რომლებიც ამ დროისთვის სამედიცინო დაწესებულებაში არიან გადაყვანილები.

მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# რატომ გადადგა დავით კირვალიძე!

## „მე ვიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მიმდინარე მოვლენებზე“

ნათია ხურცილავა

რა ხდება სოფლის მეურნეობის სამინისტროში? გამოიკვეთება თუ არა მინისტრის პასუხისმგებლობა? ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხიც გამოძიების დასრულებამდე უცნობია.

ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ერთ-ერთ სამინისტროში პრობლემებია, მაშინ პრემიერმა თქვა, თუ პრობლემა შიგნით მოგვარდებოდა, ამის შესახებ საზოგადოება ვერ გაიგებდა. როგორც ჩანს პრობლემა შიგნით ვერ მოგვარდა, მეტიც, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების დაკავება გახდა საჭირო, მინისტრი კი თანამდებობიდან გადადგა.

დავით კირვალიძეს თავის დროზე მინისტრის პოსტზე ივანიშვილთან რეკომენდაცია განათლების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა გაუწია. კირვალიძე სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტს შევარდნაძის დროსაც იკავებდა. თუმცა ჟვანიას გუნდის წევრად ითვლებოდა.

კირვალიძის წარდგენის დროს ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ის საერთაშორისო ორგანიზაციაში საკმაოდ მაღალანაზღაურებად თანამდებობიდან წამოვიდა.

ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტში დავით კირვალიძე არის პირველი მინისტრი, რომელიც თანამდებობიდან გადადგა. უფრო ზუსტად კი გადადგომა მოუწია. ჯერ უცნობია, ეს იყო იძულებითი ნაბიჯი თუ გადაწყვეტილება მართლაც თავად მიიღო.

გუშინ მთავრობის სხდომაზე დავით კირვალიძემ მხოლოდ რამდენიმე წუთი დაჰყო. სწორედ მაშინ განაცხადა გადადგომის შესახებ, რაც ბიძინა ივანიშვილმა დააკმაყოფილა.

დავით კირვალიძემ განაცხადა, რომ ის დაელოდება საგამოძიებო ორგანოების დასკვნას.

– როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, დაკავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შპს „მექანიზატორის“ რამდენიმე თანამშრომელი. ამ ადამიანებს ძალიან კარგად ვიცნობ და უმრავლესობა ჩემი მეგობარია. მათ შორის არის ჩემი მასწავლებელიც. ყველა მათგანი ძალიან წესიერი პიროვნებაა და თითოეულს დიდ პატივს ვცემ. დარწმუნებული ვარ და მოუთმენლად ველოდები, რომ სიმართლე მალე გაირკვევა და ეს ყველაფერი ძალიან კარგად დასრულდება. გამომდინარე აღნიშნული სიტუაციიდან, მე ვიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მიმდინარე მოვლენებზე. დღეს, მთავრობის სხდომაზე ვითხოვე უფლებამოსილების შეჩერება, სანამ სიმართლე არ გაირკვევა და ამ ადამიანების უდანაშაულობა არ დადასტურდება. მიმდინარე პროცესებში ნებისმიერი სახის ჩარევა, ზეწოლა და მანიპულირება ძალიან ცუდი იქნება. ვაცადოთ შესაბამის ორგანოებს, დაადგინონ სიმართლე. რაც მთავარია, გავითვალისწინოთ ერთი რამ – უდანაშაულობის პრეზუმფცია. – აღნიშნულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად ირაკლი ალასანია სოფლის მეურნეობის სამინისტროში მივიდა. რატომ მივიდა დავით კირვალიძესთან ალასანია? უცნობია. თუმცა, ჟურნალისტების მიერ დასმულ ამ კითხვაზე ალასანია ასე პასუხობს:

– სხდომაზე დათოსთან დალაპარაკება ვერ მოვასწარი, დღეს მივლინებაში მივდივარ და ამიტომ შემოვუარე. ყველანი განვიცდით, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრი. დათო გააგრძელებს რჩევების მოცემასაც ამ პერიოდში. მართლა ვაჟკაცური გადაწყვეტილებაა, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე. ყველანი ამას განვიცდით, ბუნებრივია, მაგრამ გამოძიება ობიექტურ ჭეშმარიტებას დაადგენს. – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძის წესიერებაში ეჭვი არ ეპარება.

– დავით კირვალიძის წესიერებასა და ვაჟკაცობაში ეჭვი არ მეპარება. პოლიტიკური პასუხისმგებლობა მის ვაჟკაცურ ბუნებაზე მიუთითებს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გაირკვევა. – განაცხადა ალასანიამ.

ვიცე პრემიერ-მინისტრ კახი კალაძის განცხადებით, თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკავებული მაღალჩინოსნები გამართლდებიან, მინისტრი დავით კირვალიძე თანამდებობას დაუბრუნდება.

კალაძემ აღნიშნული განცხადება პრესასთან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

– დავით კირვალიძემ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება, გამოძიება მიმდინარეობს და ჯერჯერობით შეფასების გაკეთება რთული იქნება, ვიდრე საქმის ძიება ბოლომდე არ დასრულდება, თუ ის ადამიანები გამართლდებიან, დავით კირვალიძე თანამდებობას დაუბრუნდება. – განაცხადა კალაძემ.

ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი მარგველაშვილი დარწმუნებულია, რომ სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე აბსოლუტურად პირნათელია.



მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან აღნიშნული განცხადება მთავრობის სხდომის დაწყებამდე სოფლის მეურნეობაში აღმოჩენილი დარღვევების კომენტირებისას განაცხადა.

– დავით კირვალიძე არის ადამიანი, რომელსაც მე პირადად ყველა ეტაპზე ხშირად ვუწევდი რეკომენდაციას. დიდი ხანია, ვიცნობ მას და ის გამორჩეული ადამიანია. აქვს გამორჩეული ღირებულებები, უპირველეს ყოვლისა, არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის აბსოლუტურად პირნათელია. რაც შეეხება იმ დარღვევებს, რაც გამოვლინდა, ამის შესახებ მედიიდან გავიგე და დასკვნებს ვერ გამოვიტან. – განაცხადა მარგველაშვილმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, გამოძიების დასრულებამდე სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე ახალი კანდიდატურა არ განიხილება.

– სოფლის მეურნეობის მინისტრმა პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო იმაზე, რაც ხდება სოფლის მეურნეობის სამინისტროში. კონკრეტულად რაშია საქმე, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, ვინაიდან გამოძიებით უნდა დადგინდეს. მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი დავითი არაფერში გარეული არ იქნება, იგი ასევე დაელოდება გამოძიების შედეგებს და ალბათ, დასკვნები გაკეთდება მას შემდეგ, რაც გამოძიება დასრულდება. მე პირადად ვისურვებდი, რომ გამოძიებამ აჩვენოს, რომ ეს არის გაუგებრობა, რომ არაფერი სერიოზული ამის უკან არ დგას და ბატონი დავითი დაუბრუნდეს მინისტრთა კაბინეტს. – განაცხადა ფანჯიკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ახალი მინისტრის კანდიდატრურა არ განიხილება.

– ეს ადგილი დარჩება თავისუფალი, მე იმედი მაქვს, რომ ბატონი დავითი არაფერში დამნაშავე არ არის და იგი მთავრობაში დაბრუნდება. – განაცხადა ფანჯიკიძემ.

იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს სჯერა, რომ სოფლის მეურნეობის აწ უკვე ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე კანონთან მართალია.

– დღეს ჩემთვის, როგორც მთავრობის წევრისთვის, არის მძიმე დღე, რადგან ერთ-ერთი ჩვენი კოლეგა გამოგვაკლდა. მე მჯერა, რომ დავით კირვალიძე კანონთან არის მართალი. ის ამბავი, რომ სამართალდამცველების ინტერესის საგანი იყო სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჩემთვის ცნობილი იყო, მაგრამ რამდენიმე ჩინოსნის დაკავების შესახებ გუშინ შევიტყვე. არ ვიცნობ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, ამიტომ არ შემიძლია, გავაკეთო კომენტარი, რა დევს საქმეში. ზოგადად, შსს და პროკურატურა, რომელსაც გამოძიების ზედამხედველობა ევალება, რამდენიმე ხანია, მუშაობენ ინდივიდუალურ საქმეებზე დამოუკიდებლად და ფაქტობრივ მდგომარეობას სულ მალე გააფორმებს კანონი, რომელზე მუშაობაც, ჩემი ინფორმაციით, პროკურატურამ გუშინ დაასრულა. – განაცხადა წულუკიანმა.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი დავით კირვალიძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას თამამს უწოდებს.

ამის შესახებ ზაქარეიშვილმა ჟურნალისტებს მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებთან ერთად კირვალიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებისას განუცხადა.

– დავით კირვალიძეს თანამდებობა ჯერ არ დაუტოვებია, მან მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა სამართლებრივი, მე მივესალმები კირვალიძის თამამ გადაწყვეტილებას, რომ იმ სამინისტროში, სადაც მაღალჩინოსნების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, მან აიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა, ეს მშვენიერია. ჩვენ ვმუშაობთ გამჭვირვალედ, იმედია, ყველაფერი გაირკვევა და დავით კირვალიძე თანამდებობას დაუბრუნდება. – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მინისტრთა კაბინეტის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იმედოვნებს, რომ გამოძიება ყველაფერს ნათელს მოჰფენს.

– დავით კირვალიძე ჩემი უახლოესი მეგობარია, ის ერთ-ერთი წესიერი და მაღალი რანგის სპეციალისტია და იმედი მაქვს, გამოძიება ყველაფერს ნათელს მოჰფენს. – განაცხადა კვირიკაშვილმა.

# დავით ნარმანია: „გუდაურის თემა არ შეგვისწავლია“

ნათია ხურცილავა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს უწყების მიერ ბოლო 6 თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობა გააცნო.

როგორც მინისტრმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან დასავლელმა პარტნიორებმა უნდა იცოდნენ რეალური ინფორმაცია თუ რა ხდება.

როგორც ნარმანიამ შეხვედრის დაწყებამდე აღნიშნა, საუბარი ასევე მისი უწყების სამომავლო გეგმებს შეეხება.

– 6 თვის განმავლობაში ჩვენმა სამინისტრომ ბევრი სამუშაო გასწია. პირველი, ეს იყო მიმდინარე პროექტების გადმობარება და დეტალური რევიზია, ასევე არსებული ხარვეზების გამოსწორება. გარდა ამისა, ჩვენ ძალიან სწრაფად, ნოემბერშივე მოგვიწია სამუშაო გეგმის შედგენა, რადგან ასეთი გეგმა სამინისტროში არ დაგვხვდა. ჩვენ მოვამზადეთ პარლამენტის შესაბამის კომიტეტთან თანამშრომლობის ადგილობრივი თვითმმართველობებისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგია, რაც საქართველოს მთავრობისთვის იქნება წარმოდგენილი. ასევე დავიწყეთ ბევრი ახალი პროექტის ინიცირება, როგორც წყალმომარაგების, ისე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ძალიან გამჭვირვალე გავხადეთ ჩვენი სამინისტროს სისტემა. – განაცხადა ნარმანიამ.

ნარმანიას განცხადებით, გარდა ამისა, უწყებას მოუწია მუშაობა სხვა ისეთ საკითხებზეც, რომელიც, როგორც წესი, დღის წესრიგში არ დგას ხოლმე, თუმცა მთავრობის მუშაობის პროცესში წარმოიშვა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის განმარტებით, ის ხელმძღვანელობს მოსახლეობის აღწერის სამთავრობო კომისიას, ასევე პრობლემური ინფრასტრუქტურული პროექტების შემსწავლელ კომისიას.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით გუდაური მერიის ბალანსიდან ეკონომიკის ბალანსზე გადავიდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, „თავიდანვე უცნაური იყო გადაწყვეტილება, რომ ტერიტორიულად მოშორებული გუდაური სამართავად თბილისის მერიას გადაეცა“.

ჟურნალისტებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აინტერესებდათ მინისტრის პოზიცია.

– არ შეგვისწავლია გუდაურის თემა. ამ საკითხს დეტალურად არ ვიცნობ, თუმცა ის, რომ თავის დროზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება და ტერიტორიულად მოშორებული ადგილი თბილისის მერიას სამართავად გადაეცა, ცოტა უცნაური იყო და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების კონცეფციაში ნამდვილად არ ჯდებოდა. ის, რომ იქ ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა, კარგია, ამაში ცუდი არაფერია. ასევე ვიცით, რომ იქ იყო გარკვეული ხარვეზები ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ ამ მიმართულებით საგზაო ინფრასტრუქტურას ვაუმჯობესებთ, რაც სიახლეა. წელს კობი-გუდაური გაკეთდება. ყველაზე რთულ მონაკვეთზე ახალი გზა დაიგება. ასევე წელს გვექნება კვლევა ზვავების მატებასთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს გადაადგილებას. – განაცხადა დავით ნარმანიამ.

# გულბაათ რცხილაძე: „საქართველოს მთავარი საფრთხე საკუთარი ხელისუფლებაა“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

*— ბატონო გულბაათ, როგორ აფასებთ ქვეყნის საგარეო კურსს, რამდენად სწორად მიდის პროცესები?*

— ზოგადად გაჩნდა სერიოზული დადებითი მომენტები საქართველოს საგარეო კურსში, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, რუსეთთან შედარებით პრაგმატული დამოკიდებულების თვალსაზრისით. თუმცა ჯერ ქართულ-რუსული ურთიერთობების დინამიკა არ არის დამაკმაყოფილებელი, ქართული მხარის ნება რომ იყოს, ბევრად უფრო სწრაფად განვითარდებოდა დაახლოების პროცესი. ამასთან, უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსის ფორმირებაზე უდიდეს გავლენას ახდენს დასავლეთი და ამ ვითარებაში ივანიშვილის ხელისუფლების მიერ გადადგმული მცირედი ნაბიჯებიც მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან დასავლეთი ეჭვის თვალით უყურებს საქართველოს რუსეთთან დაახლოების პერსპექტივას. არადა, ამას ალტერნატივა არ გააჩნია, თუკი საქართველოს ეროვნული ინტერესებით ვიხელმძღვანელებთ.

*— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ევროინტეგრაცია და რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, ეს ორი პროცესი რამდენად თავსებადია?*

— საქართველოს ინტეგრაცია ევროსტრუქტურებში თვით ევროკავშირის დაქვეითება-დაჩაჩანაკების გამო ვერ განვითარდება არსებითად. ჩვენ გვაქვს ევროინტეგრაციის სამინისტრო. კიდევ ათი ასეთი სამინისტროც რომ გაიხსნას, მაინც არ დაჩქარდება პროცესი. ამიტომ ხელისუფლების სურვილი სურვილად



დარჩება, რეალური ცხოვრება კი მას უბიძგებს, რუსეთისკენ უფრო აქტიური ნაბიჯები გადადგას.

***— ივანიშვილის განცხადებამ, რომ რუსეთი საფრთხეს აღარ წარმოადგენს, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, პოლიტიკოსთა ნაწილმა ეს ივანიშვილის პოლიტიკური გამოუცდელობითაც ახსნა..***

— როგორც განვლილმა ორმა ათწლეულმა აჩვენა, საქართველოს მთავარი საფრთხე საკუთარი ხელისუფლება, საკუთარი პრეზიდენტებია. რუსეთი მაშინ ხდება საფრთხე, როდესაც აქედან „ვუჩხიკინებთ“. სტრატეგიას რაც შეეხება, საქართველოსთვის საფრთხეები უფრო სხვა მხრიდან მოდის. საფრთხე ის არის, რაც ჩვენს მენტალობას, სარწმუნოებას, ყოფას ემუქრება. ეს საფრთხეები რუსეთიდან არ მომდინარეობს. ჩვენ არ გვემუქრება „გარუსება“, არამედ უფრო სხვა რამ. აღარ გავაგრძელებ სიტყვას ამ თემაზე, როდესაც არავინ ლაპარაკობდა ამის შესახებ, მე მაშინ ვაცხადებდი, ახლა კი, საბედნიეროდ, ხალხის დიდი ნაწილი, თუ უდიდესი არა, მიხვდა ამ საფრთხეებს. ამიტომაც არავინ ეთანხმება ბათუმში თურქული მეჩეთის აშენებას, მესხეთში თურქების ჩამოსახლებას, დავით გარეჯის გასხვისებას და სხვა რეალურ საფრთხეებს. რუსეთს რაც შეეხება, მას უკვე ძალით შევაჩეჩეთ ჩვენი ტერიტორიები, კიდევ რომელი საფრთხე უნდა იყოს? ახლა ნაბიჯ-ნაბიჯ დეესკალაციაზე შეიძლება საუბარი რუსეთთან და არა საფრთხეზე. სჯობს, იმ საფრთხეს მივხედოთ, რასაც ამერიკის აგენტურის ტოტალური ჩანერგვა წარმოადგენს, ალმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის ფარგლებში.

როგორც ჩანს, ივანიშვილს ესმის რუსეთთან იდეა ფიქსად ქცეული დაპირისპირების უაზრობა და იგი რეალურად აპირებს სიტუაციის დათბობას. სამწუხაროდ, მას ამაში ხელს უშლიან როგორც დასავლელი „პარტნიორები“, ისე საკუთარი გარემოცვის ნაწილი.

***— რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებში მიღწეული პროგრესი შესაძლოა თუ არა გახდეს ქვეყნის დეოკუპაციის დაწყების ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი?***

— სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა და გაღრმავება უკვე თავისთავად იქნება დადებითი მოვლენა. ამ გზით ბევრი პრობლემა მოიხსნება ქართულ ეკონომიკაში და სოციალურ სფეროში. არ არის საჭირო ამ თემატიკის პირდაპირი დაკავშირება კონფლიქტურ რეგიონებთან, მაგრამ ზოგად ფონად, რა თქმა უნდა, მეტად დადებით როლს შეასრულებს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები.

***— როგორ ფიქრობთ, უნდა მოხდეს თუ არა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიება და რატომ არის გამოძიების წინააღმდეგი ოპოზიცია?***

— მე თუ მკითხავთ, გამოსაძიებელი არაფერია, სააკაშილმა ჩვენება მისცა მთელ საქართველოს და მთელ დედამიწას, 2008 წლის 7 აგვისტოს საღამოს, სატელევიზიო ეთერით, როდესაც „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენაზე“ ალაპარაკდა და რიხით აცხადებდა, ცხინვალს ჩემი სამხედრო შენაერთები აკონტროლებენო. სააკაშვილი არის სამხედრო დამნაშავე და იგი არის სამხედრო წესებით გასასამართლებელი და დასახვრეტი. მაგრამ ვინაიდან 21-ე საუკუნეში ამგვარ სიმკაცრეს არ მივესალმებით, ამ სუბიექტს თავის აშენებულ რომელიმე ციხე-კოლონიაში ერთი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი. მერე ინახულონ ხოლმე შეშფოთებულმა ელჩებმა და მოიკითხონ, ხომ არ აწამებენ მას ახალაიას სადისტები. სამწუხაროდ, საქართველო არ არის სრულფასოვანი და სუვერენული სახელმწიფო, ახალ მთავრობას ამის საშუალებას არ მისცემენ. თუმცა ზეწოლის გაგრძელება აუცილებელია, თუნდაც გამოძიების სახით, რათა სააკაშვილუკებს მშვიდი ძილის საშუალება არ ჰქონდეთ და სხვა, მავნე აზრები არ გაუჩნდეთ ქართული სახელმწიფოს განვითარების შესაფერხებლად.

## შსს-მ დანაშაულებრივი ჯგუფის სამი წევრი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები:– იორამ ო, ბესიკ ბ, და გიორგი დ. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ და სამუშაო ჯგუფის ორმა წევრმა კეთილსინდისიერად არ შეასრულეს მათზე დაკისრებული ვალდებულება, კერძოდ, არ შეისწავლეს კონკრეტული ნაკვეთების ოდენობა და დაზიანების ხარისხი. ისინი, პირადი გამორჩენის მიზნით, თავის ახლობლებსა და ასევე სხვა დაზარალებულ მოქალაქეებს გაურიგდნენ და ზარალის კომპენსაციის თანხები არამიზნობრივად განკარგეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-დაკავების მიზნით საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე,

სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

## მამუკა აჩბა: „ყოლბაიას დანიშვნას ნაციონალებიდან არასამთავრობო სექტორში გადაბარგებული ნარჩენები ეწინააღმდეგებიან“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ სათათბირო დარბაზის წევრი მამუკა აჩბა აცხადებს, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვახტანგ ყოლბაიას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნას, „ნაციონალური მოძრაობის“ ის ნარჩენები ეწინააღმდეგებიან, რომლებმაც არჩევნების შემდეგ არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლეს.

ამის შესახებ აჩბამ „ნიუსპრესთან“ საუბარისას განაცხადა. მისი თქმით, ეს ადამიანები მერიის ყოფილი , ასევე ქალაქის სხვადასხვა რაიონის გამგეობის თანამშრომლები არიან.

„ესენი არიან გარკვეული ორგანიზაციები , რომლებიც სავარაუდოდ „ნაციონალური მოძრაობისგან“ პირდაპირი თუ ირიბი ხაზით ფინანსდებიან და აჟღერებენ სააკაშვილის წინადადებას. პირები და ორგანიზაციები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ბატონი ვახტანგ ყოლბაიას თანამდებობაზე დანიშვნას, ეყრდნობიან პრეზიდენტ სააკაშვილის აბსურდულ განცხადებას, რომელმაც კოლაბორაცია დასწამა ვახტანგ ყოლბაიას და პარტია „დემოკრატიულ მოძრაობა ერთიან საქართველოს“. მე ვეკითხები თვითონ ამ საინიციატივო ჯგუფების იმ ნაწილსაც , რომლებიც წარმოადგენენ და აჟღერებენ ნაციონალური მოძრაობის იდეებს და მიაქვთ ცრუ ინფორმაცია საზოგადოებასთან, — თუკი კოლაბორაციაში არის დადანაშაულებული ბატონი ვახტანგი და „პარტია დემოკრატიული მოძრაობა“ , მაშინ, რატომ არ დაიჭირა პრეზიდენტმა ეს ხალხი. ამიტომ, ვამბობ, რომ არ არსებობს ამის არანაირი დამადასტურებელი ფაქტი და ეს არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. იმ პირებს, ვინც ყოლბაიას თანამდებობაზე დანიშვნას ეწინააღმდეგებიან, ანუ ამ ე.წ საზოგადოების საინიციატივო ჯგუფს , ყოფილი ნაციონალი ირაკლი ღლონტი, ასევე ნაციონალური მოძრაობის მარჯვენა ხელი ლაშა ფარულავა ხელმძღვანელობენ. შეიძლება საზოგადოებისთვის ეს სახელები არაფერს არ წარმოადგენდეს, მაგრამ ისინი „ნაცმოძრაობის ნომენკლატურული მუშაკები“ არიან“— განუცხადა „ნიუსპრესს“ აჩბამ.

მისივე თქმით, ვახტანგ ყოლბაიას ბრწყინვალე კავშირები აქვს აფხაზეთშიც.

„მაქვს ინფორმაცია, რომ 25 — მდე არასამთავრობო ორგანიზაცია და მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო დონეზე მუშაობენ, აპირებენ ვახტანგ ყოლბაიას მხარდამჭერი აქციის გამართვას და ასევე სპეციალური წერილის მომზადებას იმ საკანონმდებლო ნიუანსებზე, სადაც ყველა დეტალი იქნება განხილული. რაც შეეხება სააკაშვილის მიერ ჩვენს კოლაბორაციონიზმში დადანაშაულებას, ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტს აუცილებლად მოუწევს სასამართლოს შეკითხვებისათვის პასუხის გაცემა“— განაცხადა აჩბამ.

**ნიუსპრესი**

## რა მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომხდარ ინცინდენტთან დაკავშირებით, რომლის დროსაც, ერთ-ერთმა სტუდენტმა თავისი შეყვარებული კიბიდან გადააგდო, — შინაგან საქმეთა სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა 1992 წელს დაბადებული, თსუ-ს სტუდენტი ლევან ღ. მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაკავებულმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში, თანაკურსელი, 1990 წელს დაბადებული გვანცა ა. მე-3 სართულის შიდა კიბის მოაჯირიდან ძალის გამოყენებით გადააგდო, რის შედეგადაც გოგონა მძიმედ დაშავდა. დაშავებული რესპუბლიკური საავადმყოფოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. გვანცა ა-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისათვის მძიმეა. დაცვის თანამშრომლებმა ინციდენტში ეჭვმიტანილი პირი შემთხვევის ადგილზე შეაჩერეს და პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველებმა ლევან ღ. ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108 მუხლით მიმდინარეობს, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**ნიუსპრესი**

## შსს 1 მაისის აქციის დემონსტრანტების მიერ წესრიგის დარღვევის ამსახველ ვიდეომასალას აქვეყნებს

შსს 1 მაისის გამართული აქციის დემონსტრანტების მიერ წესრიგის დარღვევის ამსახველ ვიდეო-მასალას აქვეყნებს.

„1 მაისის აქციასთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრების გამო, თითქოს პოლიციამ უფლებამოსილებას გადააჭარბა, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქვეყნებს გარე სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებულ კადრებს. აღნიშნულ ვიდეომასალაში ნათლად ჩანს, თუ როგორ არღვევენ დემონსტრანტები საზოგადოებრივ წესრიგს, რაც გამოიხატა შენობების იერ-სახის დამახინჯებასა და მოქალაქეების კუთვნილი ავტომანქანების დაზიანებაში“, — აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

**პირველი**

## ინგა გრიგოლიას „პოლიტიკური კვირა“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე 20 მაისამდე დაიწყება

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში პოლიტიკურ თოქ-შოუს „პოლიტიკურა კვირა“ 20 მაისამდე დაიწყებს. როგორც „პირველს“ გრიგოლიამ განუცხადა, გადაცემა ეთერში კვირაში ორჯერ გავა.

„თოქ-შოუს სავარაუდოდ, 15-დან 20 მაისამდე დავიწყებ. შემიძლია, გითხრათ, რომ გადაცემის ერთ-ერთი დღე იქნება კვირა და ეთერში 20:00 საათზე გავალთ. რაც შეეხება კვირის მეორე დღეს, ეს სავარაუდოდ, ოთხშაბათი იქნება და ამ შემთხვევაში გადაცემას 22:00 საათზე დავიწყებთ“, — განაცხადა ინგა გრიგოლიამ. მისივე თქმით, კვირაობით გადაცემაში დარბაზი მიიღებს მონაწილეობას და რეგიონებიდან პირდაპირი ჩართვები განხორციელდება.

„კვირა დღეს მასშტაბური თოქ-შოუ იქნება და გვინდა, რომ რიგით მოქალაქეებს პოზიციების დაფიქსირების საშუალება მივცეთ. ასევე, ჩართული გვექნება ინტერაქტივი. შუა კვირის გადაცემებში დარბაზი არ გვეყოლება“, — აღნიშნა გრიგოლიამ.

რაც შეეხება გადაცემის გუნდს, „პოლიტიკური კვირის“ მთავარი პროდუსერი ნინო სტურუა, რეჟისორი კი — ზურა ფანქველაშვილი იქნება.

**პირველი**

## კოჯორში ქვეითი დანაყოფების შემფასებელთა და დამკვირებელთა სასწავლო კურსის დახურვის ცერემონიალი გაიმართა

კოჯორში, ქვეითი ქვედანაყოფების შემფასებელთა და დამკვირებელ-მაკონტროლებელთა სასწავლო კურსის დახურვის ცერემონიალი გაიმართა.

როგორც თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზეა ნათქვამი, დაჯილდოების ცერემონიალს წვრთნისა და განათლების სარდალი ვიცე— პოლკოვნიკი შალვა ბაჯელიძე, ჯი-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის უფროსი პოლკოვნიკი დავით ნაკაშიძე და ეროვნული სასწავლო ცენტრის „კრწანისი“-ს მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი ლევან ბერია დაესწრნენ.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეიარაღებული ძალების ქვეითი ბრიგადებისა და განათლების სარდლობის 36-მა სამხედრო მოსამსახურემ ორი კვირის განმავლობაში ქვეითი ქვედანაყოფების მომზადება და შეფასების მეთოდიკა შეისწავლა. სწავლების პირველი ეტაპი ეროვნულ სასწავლო ცენტრ კრწანისში ჩატარდა და თეორიულ ნაწილს მოიცავდა. მეორე ეტაპი კოჯრის I ქვეითი ბრიგადის საწვრთნელ ბაზაზე განხორციელდა და პრაქტიკულ მომზადებას დაეთმო. კურსის გავლის შემდეგ, სამხედრო მოსამსახურეები ქვეითი ქვედანაყოფების სწავლებების დაკვირვებასა და შეფასებას შეძლებენ.

**ნიუსპრესი**

## შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი წითელი ჯვრის დელეგაციას შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი დავით სუჯაშვილი, გუშინ საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე რიკე იშოის შეხვდა. შსს-ს ინფორმაციით, შეხვედრაზე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ციხეში საქართველოს მოქალაქეების და საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი ეთნიკურად ოსი პატიმრების მდგომარეობა განიხილეს. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს 90-იანი წლების შეიარაღებული კონფლიქტებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების საკითხებზე.

**ნიუსპრესი**

## ილია II: „ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი გული ბოროტი სულის ტაძარი არ გახდეს“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის



მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის განცხადებით, „ყოველი ჩვენგანი ფრთხილად უნდა იყოს, რომ ჩვენი გული ბოროტი სულის ტაძარი არ გახდეს“.

ამის შესახებ უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ ბრძანა, რომელიც დიდი ხუთშაბათთან დაკავშირებით აღავლინა.

„დღევანდელი დღე სხვა დღესასწაულებიდან განსხვავდება. აქ არის დიდება ღვთისა, რომელიც გულის სიმდაბლეში გამოჩნდა. აქ არის წყალობა ღვთისა, რომელიც კაცობრიობის მფარველია. ეს ის დღეა, როცა უფალმა თავისი მოწაფეები შეკრიბა და აზიარა. სახარებაში ნათქვამია, რომ იუდაში შევიდა ეშმაკი. ასეთი უდიდესი საიდუმლო სრულდებოდა და ამ დროს იუდამ თავის სულში ეშმაკი შეუშვა და იესო ქრისტეს მტერი გახდა. საოცარი ისაა, რომ როცა უფალმა წარავლინა მოციქულნი და მისცა მათ ძალა არა წმინდა სულთა ზედა, მისცა ძალა განკურნებისა, მათ შორის იყო იუდა ისკარიოტელიც. მიუხედავად ამისა, ის მაინც უფლის მოღალატე გახდა“, — ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ „ყოველი ჩვენგანი ფრთხილად უნდა იყოს, რომ ჩვენი გული ბოროტი სულის ტაძარი არ გახდეს, ეს დიდი მაგალითი თითოეული ჩვენგანისთვის“.

**პირველი**

# კახა კალაძე ჰესების გამო ხათუნა გოგალაძეს ეჩხუბა

შორენა მარსაგიშვილი



გუშინ საქართველოს მთავრობისთვის მძიმე დღე იყო. მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა თანამდებობა დატოვა. ეს გადადგომა რომ არა, ერი გუშინ მთავრობის წევრებს შორის მომხდარ დაპირისპირებაზე ისაუბრებდა.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა უკვე რამდენჯერმე გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლას ახორციელებს. კალაძეს ხათუნა გოგალაძის მიმართ პრეტენზიები იმიტომ აქვს, რომ გარემოს დამცველები რიგ ადგილებში ჰესების აშენების უფლებას არ იძლევიან. კალაძეს კი ფეხბურთის მერე ჰესები შეუყვარდა ძალიან, უფრო ზუსტად, ყოველთვის მოსწონდა. მას გამინისტრებამდე ენერგეტიკის სფეროში წილები ჰქონდა. ამ საქმეში ის ნაციონალებმა ჩართეს.

გუშინდელ მთავრობის სხდომაზე კალაძე და გოგალაძე წაკამათდნენ. გარემოს დაცვის მინისტრმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. ფეხბურთელმა-მინისტრმა კი აღიარა კამათი. მან ისიც აღიარა, რომ ის და გოგალაძე ხშირად კამათობენ.

– კამათი არ არის ახალი ჩემსა და გარემოს დაცვის მინისტრს შორის. მე ვფიქრობ, რაც შეიძლება მეტი ჰესი უნდა აშენდეს, რათა საქართველო იყოს განათებული და გახდეს იმპორტიორი ქვეყანა, – განაცხადა კალაძემ.

მისი თქმით, ამ საკითხზე შეკითხვები აქვს გარემოს დაცვის მინისტრს და მისი პოზიცია გასაგებია, რადგან გარემო უნდა იყოს დაცული. თუმცა, კალაძის აზრით, ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც მსგავსი პროექტები ხორციელდება, გარემოზე ზემოქმედება ხდება.

მათ შორის ვითარება მარტში გამწვავდა. სწორედ მარტის დასაწყისში გასცა გარემოს დაცვის სამინისტრომ ხდის ხეობაში ჰესის აშენებაზე უარყოფითი დასკვნა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ ჰესის მშენებლობაზე წარმოდგენილ გზშ-ში არ არის სრულყოფილად ასახული და გათვალისწინებული საჯარო განხილვის დროს სამინისტროს მიერ მიწოდებული შენიშვნები და წინადადებები. არ არის წარმოდგენილი ჰესის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია. არ არის დასაბუთებული, რა უპირატესობა მიენიჭა აღნიშნულ პროექტს და რა ზემოქმედება ექნება გარემოზე. ასევე არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მონიტორინგის დეტალური გეგმა. გაანალიზებული არ არის, ჰესის ფუნქციონირების შეწყვეტის შემთხვევაში, რა გზით შეიძლება გარემოს პირვანდელი სახით აღდგენა. განხილული არ არის ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების და თავიდან აცილების გზები. წარმოდგენილი არ არის საპროექტო ზონაში მობინადრე ცხოველებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

– ხდის ხეობა ჯიხვების მნიშვნელოვანი თავშესაფარია და მათი რიცხოვნობა საკმაოდ დაბალია, ხოლო დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება მოიცავს ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს და სამშენებლო ხმაურს. აღნიშნული გარემოება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი შემაწუხებელი ფაქტორი გახდეს მობინადრე ჯიხვებისთვის. შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი ზემოქმედების სახეები და შერბილების ღონისძიებები, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ზემოქმედებას. გზშ-ს კიდევ ერთი ნაკლი ის არის, რომ დეტალურად არ არის შესწავლილი საპროექტო ზონაში, იქტიოფაუნის, ფლორისა და ფაუნის შესახებ ინფორმაცია, განსაკუთრებით კი წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. არ არის სრულყოფილად განხილული ცხოველთა ის სახეობები, რომლებსაც მსგავსი პროექტების განხორციელების შედეგად ყველაზე მეტად ექმნებათ საფრთხე, რადგან ნადგურდება მათი საცხოვრებელი გარემო. ასეთია ევრაზიული წავი, რომელიც საქართველოს წითელი ნუსხის სახეობაა და შეტანილია ბერნის კონვენციის მეორე და ბონის კონვენციის პირველ დანართებში. ეს სახეობა მთელ მსოფლიოში გამოიყენება, როგორც ინდიკატორი წყლის ეკოსისტემების მდგომარეობს შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში. ასევე გზშში აღნიშნულია, რომ მცენარეთა იშვიათი სახეობების არსებული სია, სავარაუდოდ, შესაძლებელია გაიზარდოს. აქედან გამომდინარე, ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები საჭიროებდა დეტალურ შესწავლას, რაც არ მომხდარა. არასრული და დაუზუსტებელია ინფორმაცია იქტიოფაუნის სახეობების შესახებ. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მდ. ბროლისწყალში იდენტიფიცირებული წითელი ნუსხის სახეობის ნაკადულის კალმახისა და იქტიოფაუნის სხვა კომპონენტების ტოფობის პერიოდებისა და უბნების შესახებ, – აღნიშნულია დასკვნაში.

ჰესის მშენებელი კომპანია „ფერის“ ხელმძღვანელმა ლაშა იორდანიშვილმა ხდის ხეობაში, ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე გარემოს დაცვის მინისტრის სტუმრობისას განაცხადა, რომ მდინარის კალმახისთვის შესაძლო ზიანის თავიდან არიდების მიზნით თევზსავალი მოეწყობოდა. სამინისტრომ აღმოაჩინა, რომ თევზამრიდი ნაგებობის მოწყობა არ იგეგმებოდა.

– გზშ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ვინაიდან საპროექტო კაშხლის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 0,8 მეტრი სიმაღლისაა, არ იგეგმება თევზამრიდი ნაგებობის მოწყობა. მე-11 გვერდზე მითითებულია, რომ სპეციალური თევზსატარი გათვალისწინებული არ არის. შემდეგ, ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ „ჰიდროტექნკური ნაგებობა უნდა დაპროექტდეს თევზგამავალი სისტემის გათვალისწინებით. ჰესისთვის, მდინარე ბროლისწყლის ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად მდინარის 10% შესწავლის გარეშეა აღებული. ისეთი მცირეწყლიანი მდინარისთვის, როგორიც მდინარე ბროლისწყალია, უნდა განხორციელებულიყო კომპლექსური შესწავლა, რის შემდგომაც რეალურად იქნებოდა დადგენილი ეკოლოგიური (სანიტარიული) ხარჯის ოდენობა. ამის შემდეგ დეტალურად უნდა ყოფილიყო შეფასებული ის ზემოქმედება, რომელიც გამოიწვევდა მდინარეში წყლის ხარჯის შემცირებას, – ნათქვამია დასკვნაში.

ხათუნა გოგალაძის განმარტებით, მათ მხრიდან გზშ-ზე უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ არ არსებობს გეგმა, როგორ უნდა შემცირდეს ლანდშაფტზე ჰესის ვიზუალური ზემოქმედება.

– ხდის ხეობა წარმოადგენს ყაზბეგის ეროვნული პარკის მომიჯნავე ტერიტორიას, თავისი უნიკალურობით მიმზიდველია ტურისტებისთვის. გზშ-ში განხილული არ არის, როგორ უნდა მოხდეს სააგრეგატე შენობისა და სათავე ნაგებობების გარემო პირობებთან შერწყმა ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს შემცირებული ლანდშაფტზე ვიზუალური ზემოქმედება, – წერია დასკვნაში.

6 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობა ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადზე, ბროლისწყალზე იგეგმებოდა. ჰესის აშენებას შპს „ყაზბეგი ჰესი“ კომპანია „ფერთან“ ერთად გეგმავდა. ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა 3 მილიონი აშშ დოლარი იყო. პროექტის მიხედვით, ჰესი დერივაციული ტიპის უნდა ყოფილიყო და დერივაციის მონაკვეთში (1 კმ-ზე მეტ მანძილზე) მდინარეში მხოლოდ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებას ითვალისწინებდა.

უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნის გაცემიდან რამდენიმე დღეში კახა კალაძე ჰესების მშენებელი კომპანიის, შპს „ფერის“ მიწვევით ყაზბეგში ავიდა და დარიალიჰესისა და ლარსიჰესის მშენებლობა დაათვალიერა. მინისტრმა იქ განაცხადა, რომ ჰესის აშენებაზე აუცილებლად გაიცემა დადებითი დასკვნა.

მაშინ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ კალაძე გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლაში დაადანაშაულა.

– ეს არის ზეწოლა და ეს არა მარტო ამ განცხადებიდან ჩანს. ჩვენ არაერთი განცხადება გვინახავს როგორც კალაძის, ისე მისი მოადგილეების მხრიდან, სადაც ისინი იმ საკითხებზე საუბრობენ, რომელიც მათ კომპეტენციაში არ შედის, სხვა სამინისტროს უფლებამოსილებაში იჭრებიან. მაგალითად, საჯაროდ აკეთებდნენ განცხადებებს, რომ ისეთი არაფერი შენიშვნა არ არსებობდა, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა არ გაცემულიყო ჰესზე ნებართვა და ჯობდა, მალე გაეცათ. ნორმალურ ქვეყანაში წინასწარ არავინ იცის, ესა თუ ისე პროექტი შედგება თუ არა. ეს წყდება მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში. ამ დროს ხდება სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორების შედარება, პლუსებისა და მინუსების დათვლა. სამწუხაროდ, საქართველოში არც ბევრ ინვესტორს ესმის მისი არსი და არც ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, რაღაც ახირება ჰგონიათ, – განუცხადა მაშინ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ირაკლი მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, ჰესების მშენებლობასთან მიმართებით სახელმწიფოს პოლიტიკა იგივე დარჩა და ენერგეტიკის სამინისტროს არ უნდა, ჰესის მშენებლობაზე უარის თქმის ერთი პრეცედენტი მაინც დაუშვას.

– ჯერ არაფერი იცვლება ამ ქვეყანაში, როგორც წინა ხელისუფლების დროს იყო, ისევეა. ჯერ აცხადებდნენ, რომ ეს პროექტი გაკეთდება და მერე იწყებდნენ იმის დათვლას, რა და როგორ მოხდებოდა. გზშ ანგარიშის გარეშე ხდებოდა ყველაფერი და უკვე მიღებული გადაწყვეტილებების „გაპრავება“. ამ ჰესზე უარის თქმით უნდათ, ერთი პრეცედენტი მაინც დაუშვან. არ მესმის, რატომ არის ატეხილი ერთი ამბავი ამ პატარა ჰესის მშენებლობაზე? რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკული ან სხვა თვალსაზრისით 6-მეგავატიანი ჰესის მშენებლობას, რომელიც წყალმცირობის დროს, ალბათ, 2 მეგავატს თუ აიღებს. როცა ასეთი პროექტია, რომელიც თავისი გარემოსდაცვითი მნიშვნელობით ბევრად აღემატება ენერგეტიკულ მნიშვნელობას და ამის დათმობასაც არ აპირებენ, წარმომიდგენია, რა მოხდება დიდ ჰესებზე. როცა მთავრობა ამბობს, რომ გარემოს დაცვა მათი პრიორიტეტი იქნება, ეს ნიშნავს, რომ ზოგი პროექტი გამოვა, ზოგი – არა. ენერგეტიკის სამინისტრო ვერ ხსნის, რატომ უნდა აშენდეს ეს ჰესი. ზოგადი ფრაზები მოაქვთ, რომ ენერგეტიკა უნდა განვითარდეს. იმ ერთი ბეწო ჰესზე თუ არის დამოკიდებული ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა და რუსეთისგან თავის დახსნა, კი ბატონო, – ამბობს ირაკლი მაჭარაშვილი.

# კობა დავითაშვილი ირაკლი ღარიბაშვილს დაუპირისპირდა

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ კობა დავითაშვილს კოჭებში ეტყობა, რომ ოპოზიციაში გადადის. ცოტა ხნის წინ ის ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს დაუპირისპირდა. ამის გამო მას ბიძინა ივანიშვილმა სტრასბურგიდან დაურეკა და ეჩხუბა.

მერე უმრავლესობის დახურული შეხვედრაც გაიმართა, სადაც კობა დატუქსეს, მაგრამ თავისი რიგებიდან არ გაურიცხავთ. ყველას ეგონა რომ დასჯილი დეპუტატი ცოტა ხანს შეისვენებდა, მაგრამ, დავითაშვილი რისი დავითაშვილი იქნებოდა, ისევ რომ არ წაეანცა.

გუშინ ის შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს დაუპირისპირდა. ღარიბაშვილთან დეპუტატს კითხვები 1 მაისს



მომხდარი ინციდენტის გამო გაუჩნდა.

კობა დავითაშვილი შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს შერჩევით სამართალში ადანაშაულებს.

– მე მაქვს შს მინისტრთან შენიშვნები გუშინდელ აქციასთან დაკავშირებით. მე არა მაქვს შენიშვნები სამართალდამცავების ქმედებაზე. ისინი ასრულებდნენ საკუთარ მოვალეობას, მაგრამ მე მინდა ვკითხო შს მინისტრს, ბატონ ღარიბაშვილს. გუშინ ჩატარდა ორი აქცია. ერთი აქცია ჩატარდა პარლამენტის წინ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, მეორე აქცია ჩატარდა „ლაბორატორია 1918“-ის მიერ თბილისში. ორივე აქციაზე დაირღვა კანონი. პირველ შემთხვევაში 20-მეტრიანი დისტანცია არ იყო დაცული პარლამენტიდან და ეს კანონის მოთხოვნაა. მეორე შემთხვევაში წინასწარი გაფრთხილება არ მომხდარა გზის გადაკეტვის თაობაზე. ორივე კანონდარღვევაა. მე მინდა ვიკითხო, რატომ არის შერჩევითი სამართალი „ნაციონალური წევრების“ სასარგებლოდ? რატომ არ იქნა აღკვეთილი მათი მხრიდან კანონის დარღვევა და რატომ იქნა აღკვეთილი „ლაბორატორია 1918“-ის მიერ კანონის დარღვევა?! – კითხულობს დავითაშვილი.

ამის გარდა, კობა დავითაშვილი რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს. ღარიბაშვილის ფანებო, არ აღელდეთ, კობა რეფერენდუმის გამართვას სხვა საკითხზე ითხოვს.

– მე მივმართავ ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამას მხარს უჭერს, შევიკრიბოთ, შევქმნათ საორგანიზაციო კომიტეტი, შევაგროვოთ 200 ათასი ხმა, საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდეს ამ საკითხზე რეფერენდუმი და ქართველმა ხალხმა ღია კენჭისყრით გადაწყვიტოს, აიკრძალოს თუ არა ამ ქვეყანაში აზარტული თამაშები, – განაცხადა დავითაშვილმა.

# ვანო მერაბიშვილის დედა სამსახურიდან გაუშვეს

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის თავს ცუდი ამბები ტრიალებს. ბოროტი ხმები მას ათას უბედურებას, მათ შორის დაპატიმრებასაც უწინასწარმეტყველებენ.**

ვანოს გარდა, პრობლემები მისი ოჯახის წევრებსაც შეექმნათ. მერაბიშვილის მეუღლე ერთხელ უკვე იყო დაკითხვაზე. პრობლემები შეექმნა ვანოს დედას, ჟენია მერაბიშვილსაც.

ცოტა ხნის წინ „სამხრეთის კარიბჭეზე“ დაყრდნობით უკვე ვწერდით, რომ მერაბიშვილის დედამ ბავშვებსა და სკოლის დამლაგებელს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მაშინ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ჟენია მერაბიშვილი სკოლის დირექტორობიდან გადააყენეს. „სამხრეთის კარიბჭის“ ცნობით, ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა განათლების მინისტრის ბრძანება მეხუთე საჯარო სკოლის დირექტორ ჟენია მერაბიშვილის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ გუშინ დილით მიიღო.

.– ბრძანება 2 მაისს, დილით მივიღეთ, ტელეფონით დავუკავშირდით და ვთხოვეთ, რომ მობრძანდეს. ბრძანებას აქ მოსვლის შემდეგ გავაცნობთ. ჯერ არ მოსულა და არც ხელი მოუწერია, – ამბობს ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დიანა ინასარიძე.განათლების მინისტრის ბრძანების მოსვლამდე სამინისტროდან მეხუთე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ დირექტორის ხელახლა არჩევის შესახებ წერილი მიიღო.

– წერილი ჩვენთან არ მოსულა, პირდაპირ სკოლაში გაგზავნეს. როგორც ვიცი, სამეურვეო საბჭომ მერაბიშვილს მხოლოდ გაფრთხილება მისცა და დაკავებულ თანამდებობაზე დატოვა, – ამბობს ინასარიძე.

„სამხრეთის კარიბჭემ“ ვითარების გარკვევა სკოლაში გუშინ დილით სცადა, თუმცა, იმ მიზეზით, რომ სააღდგომო დღესასწაულების გამო სასწავლო პროცესი შეჩერებულია, სამსახურში არავინ დაგვხვდა.

სატელეფონო საუბარში კი დირექტორის მოადგილე ნანა დათაშვილმა განგვიმარტა, რომ სამეურვეო საბჭომ სამინისტროდან წერილი ნამდვილად მიიღო, თუმცა იგი მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლა: „სამეურვეო საბჭოს წევრი არ ვარ, შესაბამისად, წერილს პირადად არ გავცნობივარ. როგორც ვიცი, საბჭომ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ გაფრთხილებით შემოფარგლულიყვნენ“.

ჟენია მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ მთავარ პროკურატურას 5 მარტს მიმართა. როგორც გუშინ საღამოს „სამხრეთის კარიბიჭეს“ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის წარმომადგენელმა ეკა ჩიჩუამ განუმარტა, ამ დრომდე საქმის შესწავლა მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ განათლების სამინისტრომ საქმის მოკვლევა მეხუთე საჯარო სკოლასთან დაკავშირებით „სამხრეთის კარიბიჭის“ მიერ გამოქვეყნებული წერილის შემდეგ დაიწყო. ჟენია მერაბიშვილს სკოლის მოსწავლეები და დამლაგებელი ცემაში ადანაშაულებენ.

დიანა ინასარიძის განცხადებით, მერაბიშვილს უფლება აქვს, მინისტრის ბრძანება გაასაჩივროს.

როგორც თავში უკვე ვთქვით, კარგად საქმე არც ვანო მერაბიშვილს აქვს. გავრცელებული ინფორმაციით, ის, შესაძლოა, დააპატიმრონ.

როგორც „ჯეოტმს.გე-სთვის სარწმუნო წყაროსგან გახდა ცნობილი, ამერიკაში გამგზავრებამდე პრეზიდენტმა „ნაციონალები“ შეკრიბა და თანაპარტიელებს მათი გუნდის წევრის, პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაიას მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება მოსთხოვა.

– ამას ყოფილი ხელისუფლების წევრების დიდი ნაწილის უკმაყოფილება მოჰყვა. ფაქტია, დღემდე ერთეული დეპუტატები თუ ესწრებიან ბაჩო ახალაიას პროცესს და მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს აბსურდულად მიიჩნევენ. პრეზიდენტის მოთხოვნის შემდეგ „ვანოს“ გუნდის წევრები სათათბიროდ ირმა ნადირაშვილის კაბინეტში შეკეტილან და „საიდუმლო სერობა“ იქ გაუგრძელებიათ. ფაქტია, მათ პრეზიდენტის თხოვნა არაფრად ჩააგდეს და დღემდე ბაჩო ახალაიაზე მათი მხრიდან არანაირ მორალურ მხარდაჭერას ადგილი არ ჰქონია. არადა, სწორედ ეს გუნდი მთელი შემადგენლობით თავგამოდებით იცავდა გიგი უგულავას და მის მხარდასაჭერად საგანგებო აქციაც კი გამართეს. თუმცა წინ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევაა და ახალაიები არაპოპულარული თემაა. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ხომ საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად შიდაპრაიმერია დაანონსებული. თუმცა, ჩვენივე წყაროს ინფორმაციით, შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდეს. ოპოზიციაში ერთ-ერთ სცენარად განიხილება ხელისუფლების პროვოცირება, რომ ვანო მერაბიშვილი დაიჭირონ. ამას კი „ნაცმოძრაობა“ ვანოს გმირად შესარაცხად გამოიყენებს. მას შემდეგ, რაც 19 აპრილს მერაბიშვილი აქციის მთავარი გმირი ვერ გახდა, მის გუნდში ალტერნატიული გზების ძიება დაიწყეს, – წერს სააგენტო.

გავრცელებული ინფორმაციით, 19 აპრილს ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატად ვანო მერაბიშვილი უნდა დაესახელებინათ, მაგრამ ეს ამბავი რატომღაც ჩაიშალა.

რამდენიმე დღის წინ გია ბარამიძემ განაცხადა, რომ ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი ის იქნება, უფრო ზუსტად, პრაიმერიში მიიღებს მონაწილეობას, რომელმაც ნაციონალების ფალავანი უნდა გამოავლინოს.

ვანო მერაბიშვილი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს. მან არც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისურვა კომენტარის გაკეთება და პირობა დადო, რომ თუ რამეს გადაწყვეტს, ამაზე პრესკონფერენციას გამართავს.

# რატომ ასმევენ გიორგი ბარათელს ფსიქოტროპულ წამლებს

გულიკო ბალაძე

**გურამ შარაძის მკვლელობაში დადანაშაულებულ გიორგი ბარათელს ახალი ბრალდება არ უმტკიცდება**

აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობის ბრალდებით მსჯავრდებულ გიორგი ბარათელს მეორედ ასამართლებენ. ოღონდ ამჯერად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უკანონო ნივთის შენახვის ბრალდება წაუყენეს, თუმცა, როგორც სასამართლო გამოძიებამ აჩვენა, მას ეს ბრალი არ უმტკიცდება.

გიორგი ბარათელის ადვოკატი მამუკა ნოზაძე ფიქრობს, რომ სასამართლო გიორგი ბარათელს გაამართლებს, ვინაიდან ბრალდების მიერ წარმოდგენილმა ორმა მოწმემ (რომლებიც თითქოსდა ხელს ადებდნენ ბარათელს), არ დაადასტურა მისი ბრალეულობა. ბარათელის ახალ დანაშაულში დადანაშაულება კი შედიოდა ძველი ხელისუფლებისა და გურამ შარაძის მკვლელობის შემკვეთების ინტერესებში.

გიორგი ბარათელის წინააღმდეგ „ახალ დანაშაულში" დადანაშაულება მას შემდეგ მოხდა, რაც 1 ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალების დამარცხებით გულმოცემულმა ბარათელმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ აკადემიკოსი გურამ შარაძე მას არ მოუკლავს და ამის მტკიცებულებებიც არსებობს.

*— ბატონო მამუკა, თბილისის საქალაქო სასამართლო იხილავს გურამ შარაძის მკვლელობის ბრალდებით გასამართლებულ გიორგი ბარათელის ახალ სს საქმეს. ფაქტობრივად, მას მეორედ ასამართლებენ. რა სტადიაზეა საქმის სასამართლო გამოძიება?*

— დიახ, გიორგი ბარათელს მეორედ ასამართლებენ. ახლა მას წარდგენილი აქვს ბრალი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უკანონო ნივთის შენახვას ეხება. ეს არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373 პრიმა მუხლი. ედავებიან ე.წ. ატმეჩკის შენახვას, ვითომდა მას ჰქონდა კბილის ჯაგრისზე დამაგრებული ლურსმანი. ბრალდებას ადასტურებს ძირითადად სასჯელაღსრულების დაწესებულების ოთხი თანამშრომელი. ასევე მათ დაკითხული ჰყავდათ გიორგი ბარათელის თანასაკნელები. 19 თანასაკნელიდან ორი ადებდა ხელს, თითქოსდა გიორგი ბარათელს ჰქონდა რაღაც უკანონო ნივთი. ბოლო პროცესზე დაიკითხა ეს ორი პიროვნება, იოსებ გოგიაშვილი და ადამ ზარიძე, რომლებმაც კატეგორიულად გამორიცხეს გიორგი ბარათელის მხრიდან რაიმე უკანონო ნივთის შენახვა. როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები დაიკითხნენ, ზოგად ტრაფარეტულ ჩვენებას იძლეოდნენ, რაც არაფრით არ დასტურდებოდა. ფონოსკოპური ექსპერტიზაც არის ჩატარებული, რომელმაც კატეგორიულად გამორიცხა გიორგი ბარათელის მხრიდან უკანონო ნივთის ხელში ჭერის ფაქტი. ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს შემოგვთავაზა საპროცესო გარიგება — ყოველგვარი ბრალის აღიარების გარეშე სასჯელზე შეთანხმება ანუ მინიმალურ სასჯელს მისცემდნენ. ეს მუხლი ითვალისწინებს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მინიმალური კი გამოდიოდა 6 თვე, რასაც ჩვენ არ დავთანხმდით.

*— რატომ არ დათანხმდით?*

— სასამართლო პროცესზე ადამ ზარიძემ და იოსებ გოგიაშვილმა კატეგორიულად უარყვეს გიორგი ბარათელის მიერ რაიმე დანაშაულებრივი ქმედება. ძირითადად ამას ეყრდნობოდა ბრალდება. ამიტომ ბრალდების მხარემ სხვა მოწმეების დაკითხვაზე უარი განაცხადა ანუ ბრალდებამ უარი თქვა იმ თანასაკნელების დაკითხვაზე, რომლებიც აბსოლუტურად გამორიცხავდნენ გიორგი ბარათელის დანაშაულებრივ ქმედებას.

*— გიორგი ბარათელს ახალი ბრალი წაუყენეს მას შემდეგ, რაც მან განაცხადა, რომ გურამ შარაძის მკვლელი ის არ გახლდათ.*

— დიახ, საქართველოში 1 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად საზოგადოებას მიეცა იმედი, რომ სამართლიანობა აღდგებოდა. ახალი ხელისუფლება სწორედ ამ იდეით მოვიდა. გიორგი ბარათელსაც მიეცა რწმენა იმისა, რომ ის იტყოდა სიმართლეს და ახალი ხელისუფლება რეაგირებას მოახდენდა. ამიტომ ოქტომბრის ბოლოს ბარათელმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა მისი დაკითხვა. ასევე მან განაცხადა, რომ ის უკანონოდ იხდიდა სასჯელს, რადგან მას



არ ჩაუდენია გურამ შარაძის მკვლელობა. ის ითხოვდა (და ითხოვს) დამატებით გამოძიებასა და დაკითხვას. მთავარ პროკურატურას რამდენჯერმე მიმართა როგორც გიორგი ბარათელმა, ასევე მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. ამის შემდეგ გაძლიერდა მასზე ზეწოლები. გიორგი ბარათელი აცხადებს, რომ, საერთოდ, 2007 წლიდან, მას შემდეგ, რაც ის პატიმრობაში იმყოფება, ყოველთვის ხორციელდებოდა მასზე ზეწოლა, მაგრამ ამ განცხადების შემდეგ უფრო გაძლიერდა. სწორედ ეს პროვოკაცია — ახალი ბრალი, რის გამოც დღეს სასამართლო მიმდინარეობს, ამითაა განპირობებული და ემსახურება მის გაჩუმებას. ცდილობენ, გიორგი ბარათელი გააჩუმონ, რომ არ თქვას ის სიმართლე, რაზეც წლების განმავლობაში დუმდა ანუ არ იქნეს გამოძიებული გურამ შარაძის საქმე.

*— 1 ოქტომბრამდე ზეწოლა რაში გამოიხატებოდა?*

— 1 ოქტომბრამდე გიორგი ბარათელი გაჩუმებული იყო, რადგან, დააკავეს თუ არა, მასზე თავიდანვე ზეწოლა განხორციელდა, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე — ფიზიკური. შემდეგ ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა თუნდაც პატიმრების მიგზავნით, რომ მას არ ეთქვა სიმართლე.

*— გურამ შარაძის საქმესთან დაკავშირებით გიორგი ბარათელი ახლა დაკითხეს?*

— გიორგი ბარათელი არ დაუკითხავთ, მაგრამ გამოჰკითხეს. ამას ჰქვია გამოკითხვის პროცედურა. გვქონდა იმედი და დაპირებაც იყო, რომ გამოძიება დაიწყებოდა, მაგრამ ამ ეტაპზე არანაირი გამოძიება არ დაწყებულა. ამ დროისთვის ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებული, სამართლებრივი ხარვეზების შემსწავლელი კომისია რომ შეიქმნება, იქ მოხდება ამ საქმის შესწავლაც და გადასინჯვაც.

*— მაინც რატომ დასჭირდათ ახალი ბრალის შეთითხვნა? მავანმა, ვინც იცოდა, რომ ახალ რეალობაში შეიძლებოდა, ბარათელს შარაძის მკვლელობის ბრალდება მოხსნოდა, იზრუნა მისი პატიმრობის გამართლებაზე?*

— წინასწარ არავინ იცოდა, რა მოხდებოდა სასამართლო პროცესზე, დაცვა როგორ სტრატეგიას აიღებდა და რა დადგინდებოდა, მაგრამ ამის მთავარი არსია გიორგი ბარათელზე ზეწოლის განხორციელება. იმ თანამშრომლებიდან, რომლებიც ადრე გიორგი ბარათელზე ზეწოლას ახორციელებდნენ, სამსახურიდან ბევრი არ წასულა და ისევ იმ დაწესებულებებში მუშაობენ, სადაც მუშაობდნენ. ამიტომ ეს ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ გიორგი ბარათელის გაჩუმებას, დადუმებას, ისევე, როგორც დადუმებული გახლდათ 2007 წლიდან 2012 წლის ოქტომბრამდე, რათა არ ეთქვა სიმართლე, რომ გურამ შარაძე მას არ მოუკლავს, იგი უკანონოდ იხდიდა სასჯელს და დღემდე გამოუძიებელია გურამ შარაძის მკვლელობა, არ არის პასუხისგებაში მიცემული რეალური მკვლელი.

*— ანუ დაინტერესებული პირების, ამ საქმის მასზე დამბრალებლების, გურამ შარაძის მკვლელობის შემკვეთების დაკვეთა იყო გიორგი ბარათელზე მეორე ბრალის შეთხზვა?*

— რა თქმა უნდა. ვინც დაინტერესებული იყო გურამ შარაძის მკვლელობით და ამ მკვლელობის გამოუძიებლობით, მიჩქმალვით, ის ხალხია დაინტერესებული გიორგი ბარათელის გაჩუმებით. სწორედ ამ ხალხის მიერ ხდება პროვოცირებები, ახალი ბრალდებების შეთხზვით. ამით აიძულებენ ადამიანს, ფსიქოლოგიურად დაშინდეს, აგრძნობინებენ, რომ ისინი ისევ ძლევამოსილი ხალხია.

*— ამ ბრალის შემდეგაც გრძელდებოდა ზეწოლა?*

— ამ ფაქტის შემდეგ, როდესაც ახალი ბრალი წარუდგინეს მას, საზოგადოებისა და ჟურნალისტების აქტიურობის შედეგად ზეწოლები შეწყვეტილია.

*— თვითონ ბარათელი ფსიქოლოგიურად და მორალურად როგორ მდგომარეობაშია?*

— ფსიქოლოგიურად და მორალურად ბარათელი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო 1 ოქტომბრამდე. მნიშვნელოვანია ის, რომ გიორგი ბარათელს აძლევდნენ დიდი დოზით ფსიქოტროპულ საშუალებებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ მედიკამენტებს სპეციალურად აძლევდნენ, რათა ჰყოლოდათ გათიშული, არაადეკვატური.

*— დადგენილია, კონკრეტულად რომელ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს აძლევდნენ?*

— კონკრეტულად მე არ შემიძლია დავასახელო, რომელ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს აძლევდნენ, მაგრამ მედიკამენტი ფსიქოტროპული რომ იყო, ფაქტია. ამას თვითონაც აღნიშნავს.

*— ამასთან დაკავშირებით რაიმე ექსპერტიზა ხომ არ ჩატარებულა?*

— არა. უბრალოდ, როცა ბარათელს შევხვდი, არაადეკვატური იყო და ვიცი, რომ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს იღებდა დიდი ოდენობით. ახლა იმას არა აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად რა მედიკამენტი იყო. მთავარია ის ფაქტი, რომ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს აძლევდნენ. ისიც დადგენილია და სახალხო დამცველის მოხსენებაშიცაა აღნიშნული, პატიმრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება მათთვის დიდი დოზით ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდება რომ იყო. ახლა გიორგი ბარათელს აღარ ეძლევა ფსიქოტროპული საშუალებები და საკმაოდ კარგადაა, ჯანმრთელად აზროვნებს და ნორმალურად გრძნობს თავს.

*— ექსპერტიზაზე იმიტომ გკითხეთ, რომ ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებების ქონა ძალიან მნიშვნელოვანია. კარგია, რომ ეს გამოკვლეულია.*

— ბარათელისთვის ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდების ფაქტია დაფიქსირებული. მეტი რა მტკიცებულება გინდა, როცა ფსიქოტროპული მედიკამენტი გაქვს მიღებული, არაადეკვატური ხარ. ადამიანი ისეთ მდგომარეობაშია, როგორც ნარკოტიკული ნივთიერების მიღების შემთხვევაში. მე თვითონ მყავს ნანახი ასეთ მდგომარეობაში და ექიმებსაც აქვთ სამედიცინო ბარათში მითითებული, კონკრეტულად რომელ მედიკამენტს აძლევდნენ.

*— ე.ი. გიორგი ბარათელს რომ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს აძლევდნენ, ამის მტკიცებულება არის.*

— დიახ, დანიშნული ჰქონდა.

*— რომელი მედიკამენტიც ბარათელს არ სჭირდებოდა რეალურად.*

— დიახ, არ სჭირდებოდა. ეს დაფიქსირებული აქვთ ერთ-ერთი სარეაბილიტაციო ცენტრის, „ემპათიის", ექიმებს, რომლებმაც მოინახულეს და მათ დასკვნაში აღნიშნეს, რომ ამ პატიმარს ფსიქოტროპული მედიკამენტი ეძლეოდა.

*— როგორ ფიქრობთ, ბარათელს ეს ბრალდება საბოლოოდ მოეხსნება?*

— ვფიქრობ, მოეხსნება, რადგან გასულ სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ, ფაქტობრივად, სხვა მოწმეების დაკითხვა მოხსნა.

# ნუ წამართმევ პარლამენტს ანუ მაისურის აუტოდაფე

როლანდ ხოჯანაშვილი
,,ახალი თაობის" იმერეთის ბიურო

თბილისში 1 მაისს პროფკავშირული აქციისა და სტუდენტურ-პოლიციური შეხლა-შემოხლის პარალელურად ქუთაისში არანაკლებ საინტერესო ამბები ხდებოდა. ვინმე ელისო კეთილაძის მიერ ფეისბუქით დაგეგმილი საპროტესტო აქცია პარლამენტის წინ მოეწყო. როგორც საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ, ქალბატონ ელისოს სოლიდარობა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოუცხადა, თუმცა კადრებში რამდენიმე ორგანიზაციის შთაბეჭდილება ნამდვილად არ დამრჩენია, რამდენიმე ადამიანისა—კი. ,,ნუ წამართმევ პარლამენტს!", ასეთი ეგიდით გამოსულ პროტესტანტებს სკანდალებით ცნობილი კობა დავითაშვილი გამოეხმაურა და ადამიანები კი არა, ნაციონალები ხარსპორტს არ სწყალობს და სატრანსპორტო კომუნიკაციებიდან ყველაზე მეტად ველოსიპედს ანიჭებს უპირატესობას. სხვა თუ არაფერი, მას ალბათ გარემოს დაცვის მინისტრობიდან ახსოვს, რომ გამონაბოლქვი დიდ ქალაქებში ნახშირორჟანგის ეფექტსაც იწვევს და სხვა არაერთ უბედურებასაც. მოკლედ, მითი იმაზე, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა სინგაპურიზაციის ან აბუდაბიზაციას გამოიწვევდა საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქისას, ისეთივე ბლეფი აღმოჩნდა, როგორც არაერთი სხვა დაპირება.

თბილისის ფონზე ქუთაისი ისევ პროვინციული ქალაქია (თუმცა რომსა და პარიზს ძალიან გაუჭირდება თბილისის ქალაქად აღიარება) და ,,ოცნების" ხალხს სულაც არ უნდა ზედმეტი ხარჯები და მით უფრო—პროვინციულ ქალაქში ოთხი წლის გატარება. 1 მაისს მოქალაქე ფირუზ ბერაძემ ჭიაკოკონა მოაწყო ოცნების მაისურით, არა-




თო. დავითაშვილს რამდენიმე აქტიური მოქალაქე გამოეპასუხა, თუმცა კობა რისი კობა იქნებოდა, ასე ადვილად რომ შეშინებულიყო და სკანდალურობის იმიჯი შერყეოდა. მართალია, საინიციატივო ჯგუფი იმუქრებოდა, რომ მსგავსი აქცია მომავალშიც ჩატარდება და პერმანენტურ სახეს მიიღებს. აქციის მონაწილეები ქუთაისში პარლამენტის დატოვებას დაჟინებით მოითხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ ხელისუფლება პარლამენტს თუ თბილისში გადაიტანს, ქუთაისი ფუნქციის გარეშე დარჩება.

თუ თვალს გადავავლებთ ბოლო პერიოდში ქუთაისის წინსვლის დინამიკას, კარგად დავინახავთ, რომ ქუთაისის პროგრესი არსად ჩანს. ერთადერთი, რაც ქუთაისს იქ პარლამენტის გადატანის შემდეგ დაეტყო, ეს გახლავთ ჟურნალისტური კორპუსის გამრავლება. აკრედიტირებული ჟურნალისტები სასესიო პერიოდში რამდენიმე ცნობილი სახეს ჩაწერენ, კომენტარს მოსთხოვენ და კიდევ უფრო ცნობილი ხდებიან ისედაც ცნობილი პოლიტიკოსები, ხოლო დუმილის გოგო-ბიჭებად წოდებული პარლამენტართა უმეტესობა იმითაც კმაყოფილია, რომ პულტზე თითს აჭერენ და ზორბა ანაზღაურებას ჯიბეში ჩაუძახებენ ხელფასების აღების დროს (უფრო კორექტულად რომ ვთქვათ—სახელფასო ბარათებზე აისახება ოთხნიშნა ციფრებით). რაც შეეხება პარლამენტის თანამშრომელთა მიერ ქალაქში ,,დატოვებულ" თანხებს, 200 ათასიან ქუთაისს არანაირად არ წაადგა. მით უფრო, რომ ზოგიერთმა პარლამენტარმა რატომღაც გადაწყვიტა, რომ უფრო იაფი დასჯდომოდა ქუთაისში გადაპარლამენტარება. მიუხედავად იმისა, რომ ,,ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივა იყო საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანა და აღფრთოვანებულები აღნიშნავდნენ, რომ სხვა თუ არაფერი, ქუთაისის მოსახლეობას ის ქირა მაინც წაადგება, პარლამენტარები რომ დატოვებენო. მაგრამ პოლიტიკოსების ასი ნათქვამიდან 10 რომ სრულდებოდეს მაინც, რაღა გვიჭირდა?! ნამინისტრალი სუბელიანი ამჟამად წყალტუბოში ნაქირავებ სახლიდან მიდის პარლამენტში და აბა რა ხეირია ბატონი კობას პარლამენტარობა ქუთაისისთვის?! ასევე ნამინისტრალი და ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პარლამენტარი ხაჩიძე საზოგადოებრივ ტრანდა ჭიაკოკონას ეშმაკების დასაფრთხობად დიდმარხვის ბოლო კვირის ოთხშაბათ საღამოს ეწყობოდა ხოლმე და არა დღისით-მზისით. დემონსტრაციულად მაისურის დაწვა პოლიტიკურ-სოციალური ჭიაკოკონობა გახლდათ, ოღონდ რიტუალური შეძახილი ,,არული კუდიანებს" სხვა სიტყვებით ჩანაცვლდა: „ამ პარტიის (ალბათ უფრო კოალიციას გულისხმობდა) გამო მეზობლების დასაცინი გავხდი, დაგასაქმა ბიძინამო? — მეკითხებიან. არჩევნების შემდეგ, ერთ თვეში სამსახურიდან გამათავისუფლეს. 130 კაცი დაგვითხოვეს სამსახურიდან. არაფრის იმედი არ მაქვს. ბოლოს „ოცნების" ოფისში განცხადება მივიტანე და ვეცადე, იქნებ რეაგირება მოეხდინათ, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია."

მოჭიაკოკონე ბერაძის გასაჭირი იმაში მდგომარეობს, რომ ის ,,ქართული ოცნების" გულმხურვალე მხარდამჭერმა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სამსახური დაკარგა. ჰქონდა კი საფუძველი ,,რაღაც" სამსახურის დაკარგვის გამო ბატონ ფირუზს მაისურის დაწვისა? ვაი, რომ ჩვენ, ქართველები, ერთობ სულსწრაფები ვართ. ის, რაც არც დაგვესიზმრებოდა გასული ცხრა წლის განმავლობაში, ნახევარ წელში გვინდა ხელთ ჩაგვივარდეს. მართალია, არც ტყეების გაჩეხვა შეაჩერა ახალმა ხელისუფლებამ, არც ბენზინის ფასი გამხდარა ვენესუელური, არც დასაქმების ტემპია მომხიბვლელი, მაგრამ მაინც დაძრულია ყინული. სოფელში მოსახლეობა წელში გამართულია, ყანები დაიხნა, შხამ-ქიმიკატები ,,რაცხა ქაღალდით" მიიტანეს სახლამდე, არც სესხები დააწვებათ კისერზე საგაზაფხულო პერიოდში და დიდი სიამოვნებით ამბობენ, რომ მიშამ რამდენი ვაუჩერიც დაარიგა ცხრა წლის განმავლობაში, ერთბაშად გაანულა ბიძინას სოფლის მეურნეობის ბარათებმა, თუმცა სოფელში საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები ცხოვრობს...

ქუთაისობის ანუ ორმაისობის წინა დღეს მაისურის აუტოდაფემ ღიმილი მოჰგვარა, იღბალგამწყრალ ,,ნაციონალებს" იმედი მიეცათ, რომ ასეთი ბერაძე კიდევ ბევრი გამოჩნდება და ფენიქსებრ აღდგება ფერფლისაგან პოლიტიკური მოუსავლეთისაკენ მიმავალი პოლიტიკური ძალა, ბევრს კიდევ ისევ აკვიატებული კითხვა გაუცოცხლდა: გვეშველება რამე?!

# კრწანისის სამხედრო ქალაქში სამშენებლო სამუშაოები განახლდა

კრწანისის I ქვეით ბრიგადაში სამშენებლო სამუშაოები განახლდა. მშენებლობის პროცესი დღეს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ზაზა ბროლაძემ და გაერთიანებული შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ დაათვალიერეს. ამჟამად, ყაზარმების, სასადილოს, ლაზარეთისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა მიმდინარეობს.

„ვაგრძელებთ პირველი ქვეითი ბრიგადის სამხედრო ქალაქის მშენებლობას, რომელიც 3000 სამხედრო მოსამსახურეზეა გათვლილი. გათვალისწინებულია სამხედროების სპორტული დარბაზებით, სტადიონებით, სასადილოებით, კაფეებით, აგრეთვე, საავტომობილო და ჯავშანტექნიკის სადგომებით უზრუნველყოფა. წელს სამხედრო ყაზარმების დასრულებას ვაპირებთ, მომავალი წლისთვის კი კომპლექსის მშენებლობის სრულად დასრულება და სამხედროებისათვის გადაცემა გვაქვს დაგეგმილი“ — განაცხადა ზაზა ბროლაძემ.

სამხედრო ქალაქის მშენებლობა ორ ეტაპად ხორციელდება. პირველი ეტაპი 2013 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს და 14 ყაზარმის, შტაბების, სასადილოსა და წყალმომარაგებას მოიცავს. მე-2 ეტაპი კი სასწავლო კლასების, მანქანების, ასევე ჯავშანტექნიკის სადგომების და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფრასქტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს.

2014 წლის ბოლოსთვის საქართველოს შეიარაღებულ ძალებს თანამედროვე, ნატოს სტანდარტების შესაბამისი სამხედრო ბაზა ექნება. 3000 სამხედრო მოსამსახურე სავარჯიშო დარბაზებით, ლაზარეთით, მცირე და დიდი სტადიონით ისარგებლებს. სველი წერტილები ძვირადღირებული ანტივანდალური ფურნიტურით (შემრევები, შხაპები) დამონტაჟდება, რაც ხანგრძლივი ექსპლუატაციისთვისაა გათვალისწინებული. სამხედრო ქალაქი უზრუნველყოფილი იქნება გათბობით, ცივი და ცხელი წყლით, შესაბამის ნაგებობებში ვენტილაციით.

„ახალ ბაზაზე გადმოყვანით, პირველი ქვეითი ბრიგადა დაიხვეწება და განვითარდება, როგორც ნატოს ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ქვედანაყოფი. უმაღლესი სტანდარტებით მოწყობილ ბაზაზე, I ქვეითი ბრიგადა შეძლებს იმ წვრთნების განხორციელებას, რაც ნატოს სტანდარტებით არის გათვალისწინებული“ — აღნიშნა ბრიგადის გენერალმა ვახტანგ კაპანაძემ.

თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ და სამშენებლო პროექტებზე აქცენტი ხარისხზე კეთდება. მშენებლობა, შეიარაღებული ძალების ინფრასტრუქტურული განვითარების ფარგლებში, გეგმაზომიერად მიმდინარეობს. წინასწარ მოხდა დაგეგმვა და ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების გაწერა.

კრწანისის სამხედრო ქალაქს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის სსიპ „დელტა“-ს მიერ დაარსებული სამშენებლო კომპანია შპს „მშენებელი 2011“ და „დელტა“-ს საინჟინრო სამსახური ახორციელებენ. ახალი სამხედრო ბაზა მთლიანად თავდაცვის სამინისტროს ძალებით შენდება.

**მედიანიუსი**

# საუდის არაბეთი აშშ-ს ძმებ ცარნაევების გეგმის შესახებ აფრთხილებდა



საუდის არაბეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, 2012 წელს ერ-რიადმა აშშ-ის მისცა გაფრთხილება იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც თამერლან ცარნაევი წარმოადგენდა.

ბრიტანელ ჟურნალისტებთან ინტერვიუში ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაფრთხილება არ იყო დაკავშირებული რუსული დაზვერვის სიგნალთან და ინფორმაცია, რომ ცარნაევი საფრთხეს წარმოადგენდა იემენიდან მოდიოდა.

გამოცემა „დეილი მეილის“ ინფორმაციით, გაფრთხილება საუდის არაბეთმა ბრიტანეთსაც გადასცა. შეტყობინებაში ნათქვამი იყო: „არაფერი არ უნდა მოხდეს მსხვილ ამერიკულ ქალაქში“ და მასში ცარნაევის გვარიც ფიგურირებდა, თუმცა შეტყობინებაში დაგეგმილი ტერაქტის თარიღი და ქალაქის სახელი მითითებული არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთისგან მსგავსი გაფრთხილების მიღების ფაქტს უარყოფს. აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლის, კეიტლინ ჰაიდენის განცხადებით, საზღვარგარეთიდან ცარნაევის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ შესულა.

შეგახსენებთ, რომ ძმები თამერლან და ჯოხარ ცარნაევები ბოსტონში, 15 აპრილს მომხდარი ტერაქტის ორგანიზებაში მთავარი ბრალდებულები არიან. ორმაგ აფეთქებას ბოსტონში 3 ადამიანი ემსხვერპლა, 180 კი მძიმედ დაშავდა.

ამ ფონზე, ჯოხარ ცარნაევის სამ მეგობარს ბოსტონის პროკურორებმა ბრალი წაუყენეს. ყახაზეთის ორ მოქალაქეს დიას კადირბაევსა და აზამატ ტაზაიაკოვს ჯოხარის „ლეპტოპის“ და მისი ზურგჩანთის განადგურების ან დამალვის მცდელობა ბრალდებათ.

ჯოხარის კიდევ ერთ მეგობარს ამერიკელ რობელ ფილიპოსს გამომძიებლებისათვის ცრუ ჩვენების მიცემა ბრალდება. სამივე მათგანი აფეთქებების დაგეგმვაში მონაწილეობას უარყოფს.

ჯოხარ ცარნაევის მეგობრები ბოსტონის ფედერალური სასამართლოს წინაშე ოთხშაბათს წარსდგნენ, სადაც მათი პატიმრობის გადაწყვეტილება მიიღეს-პროკურორების სიტყვებით, დიდია იმის შესაძლებლობა რომ მათ მიმალვა სცადონ. ფედერალური გამოძიების ბიუროს თანახმად, მათ ჯოხარ ცარნაევის ოთახიდან სხვადასხვა ნივთები გააქრეს.

გუშინ ყაზახეთმა განაცხადა, რომ ტერორიზმის ნებისმიერ ფორმას გმობენ და ამერიკასთან მას შემდეგ დაიწყეს თანამშრომლობა, რაც ბოსტონის აფეთქების გამოძიებაში ყაზახეთის ორი მოქალაქის გვარი გამოჩნდა.

„ყაზახეთი ტერორიზმის ნებისმიერ ფორმას სასტიკად გმობს. ყაზახეთის მოქალაქეების დანაშაული ჯერ არ დამტკიცებულა, გამოძიება მიმდინარეობს“, — საუბარია ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

**გ. მ.**

# წითელას შემთხვევები მატულობს

**მერი ნამორაძე**

**წითელას გავრცელების მასშტაბები კიდევ იზრდება. შემთხვევათა რაოდენობამ ქვეყანაში უკვე 2600-ს მიაღწია. მათ შორის ყველაზე მეტი შემთხვევა — 1736 თბილისში ფიქსირდება. თუ ასე გაგრძელდა და გავრცელების დინამიკა მაისის ბოლოს კლებისკენ არ წავიდა, ჯანდაცვის სამინისტრო კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი ვაქცინაცია დაწყებას გეგმავს.**

თუ ამ ეტაპზე ვაქცინა სახელმწიფოს ხარჯზე აცრა გამოტოვებულ 7 წლამდე ბავშვებს, სამედიცინო პერსონალს და დაავადებასთან კონტაქტში მყოფ პირებს შესთავაზეს, შემდეგ უკვე 40 წლამდე ასაკის ყველა პირს შესთავაზებენ. მაინც რატომ აფრთხობს მედიკოსებს გაციების მსგავსი სიმპტომებით დაწყებული წითელა (სიმპტომებში შედის ცხელება, სურდო, ხველა, მადის დაკარგვა, „ვარდისფერი თვალი“ და გამონაყარი. გამონაყარი ჩვეულებრივ გრძელდება 5-6 დღე და იწყება თმის ხაზთან, შემდეგ გადაინაცვლებს სახისკენ და კისრის ზედა ნაწილისკენ და ვრცელდება ქვემოთ, სხეულზე).

თუ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სპეციალისტებს დავუჯერებთ, დაავადება საკმაოდ სერიოზულია; აღრიცხული შემთხვევების 30%-ში აღინიშნება ერთი ან მეტი გართულება. 2004-2005 წელს საქართველოში წითელას აფეთქების დროს ყოველ 1000 დაავადებულზე 1,125 გარდაცვალების შემთხვევა დარეგისტრირდა. წითელას გართულებები უფრო ხშირია მცირე ასაკის ბავშვებში (ხუთ წელზე ნაკლებ ასაკში) და მოზრდილებში (20 წელზე მაღალ ასაკში).

ყველაზე ხშირ გართულებას დიარეა წარმოადგენს (ვითარდება შემთხვევათა 8%-ში), განსაკუთრებით მცირე ასაკის ბავშვებში. აღრიცხული შემთხვევების 7%-ში ვითარდება ყურის ინფექციები. პნევმონია, რომელიც შემთხვევათა 6%-ში ვითარდება, წარმოადგენს წითელასთან ასოცირებული სიკვდილის შემთხვევების 60%-ის მიზეზს. დაახლოებით 1000-დან 1 შემთხვევაში ვითარდება მწვავე ენცეფალიტი, თავის ტვინის ანთება. ამ სერიოზულმა გართულებამ შეიძლება გამოიწვიოს ტვინის სამუდამო დაზიანება.

ორსულობის პერიოდში წითელა ზრდის ნაადრევი მშობიარობის, თვითნებური აბორტის და მცირე მასის ახალშობილის დაბადების რისკს, თუმცა თანდაყოლილი დეფექტები წითელას ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის.

წითელა შეიძლება განსაკუთრებით მძიმედ წარიმართოს იმ პირებში, რომელთაც დაქვეითებული აქვთ იმუნური სისტემა. ის ასევე უფრო მძიმედ მიმდინარეობს ცუდი კვების მქონე ბავშვებში, განვითარებად ქვეყნებში ასეთ შემთხვევებში სიკვდილობის მაჩვენებელმა შეიძლება 25%-ს მიაღწიოს.

წითელას მიმდინარე სეზონზე მხოლოდ 2 ლეტალური შემთხვევა დაფიქსირდა. დაავადებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა კი 20-29 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის. მასობრივ გავრცელებას მედიკოსები 2008 წელს საყოველაო იმუნიზაციის კამპანიის ჩავარდნას მიაწერენ, როცა დაგეგმილზე გაცილებით ნაკლები ადამიანი აიცრა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები წითელას შემდეგ წითურას მასობრივ გავრცელებას ელოდებიან.

# გალაქტიონის შესახებ დაწერილი როსტომ ჩხეიძის რომანის პრეზენტაცია გაიმართა

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „კომიკოსი ტრაგედიაში“ პრეზენტაცია გაიმართა. რომანი გალაქტიონს ეძღვნება. ღონისძიება შესავალი სიტყვით ინსტიტუტის დირექტორმა მაკა ელბაქიძემ გახსნა.

როგორც პრეზენტაციაზე გალაქტიონის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა თეიმურაზ დოიაშვილმა აღნიშნა, როსტომ ჩხეიძემ თავის რომანში გალაქტიონის სულ სხვა კუთხით წარმოჩენა შეძლო. რომანი რეალობასთან ძალიან მიახლოებულია და მწერალმა იმ რთული გზის გავლა მოახერხა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ყველასთვის სათაყვანებელი პიროვნების არცთუ ისე სახარბიელო სახის წარმოჩენას გულისხმობს.

მან რომანის შექმნის ისტორიაზეც ისაუბრა და დასძინა, რომ ამ რომანის კონცეფციას მწერალმა ოთარ ჩხეიძემ მიაგნო, როცა გალაქტიონის ცხოვრება შეაფასა ასეთი ფრაზით: „ტრაგიკოსი კომიკოსის ნიღბით დიდ ეროვნულ ტრაგედიაში“.

დოიაშვილის განცხადებით, ეს გალაქტიონის ცხოვრების ყველაზე ზუსტი შეფასება იყო, რადგან მან კომიკოსის ნიღაბი მოირგო და სულაც არ იყო ისეთი, როგორადაც საზოგადოებას ხშირად ენახებოდა. როსტომ ჩხეიძემ კი რომანში სწორედ ეს ხაზი გააგრძელა და დიდი ტრაგიკოსის კომიკური ნიღაბი წარმოაჩინა.

„ჯერ კიდევ 2002 წელს ვურჩიე როსტომს, რომ ამ კონცეფციაზე დაეწყო მუშაობა და რომანი დაეწერა. დიდი ადამიანები ყოველთვის წმინდანები არ არიან. დიდები შეიძლება იყვნენ შემოქმედებაში , მაგრამ მიწაზე ახასიათებთ ზოგიერთი ნაკლოვანება, თუ სისუსტე. როსტომ ჩხეიძეს კი ეყო სიმამაცე, გალაქტიონი ისეთი ეჩვენებინა, როგორიც სიმთვრალეში იყო. მას ეს გალაქტიონის დიდმა სიყვარულმა უკარნახა. პოეტი მთვრალის როლს ხშირად თამაშობდა. ასევე თამაშობდა ნარცისის როლს. რომანში მწერალმა მისი ეს თამაში სოციალური ფაქტორებით ახსნა. გალაქტიონი შეგნებულად იქმნიდა ასეთ იმიჯს და კომიკური პერსონაჟის ნიღაბს ირგებდა , რადგან მას ღამით კარზე მოკაკუნების ეშინოდა“, -აღნიშნა მან.

კრიტიკოს ლევან ბრეგაძის შეფასებით კი, გალაქტიონი უძლიერესი რეკლამისტი იყო და ის თავისი კომიკური პერსონაჟის შექმნით, თუნდაც ნარცისიზმისკენ მიდრეკილების სააშკარაოზე გამოტანით, საკუთარი შემოქმედების რეკლამირებას ეწეოდა.

„ძალიან ბევრ თანამედროვე საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტ შეშურდებოდა მისი პიარსვლები. ის ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რეკლამას და ამ რეკლამისთვის კარგად იყენებდა თავის ნიღაბს, მის კომიკურ პერსონაჟს, რომელიც ზოგჯერ საზოგადოების თვალში მის ათვალწუნებასაც კი უწყობდა ხელს. გალაქტიონის ცხოვრების ეს მხარეები ძალიან კარგად და საინტერესოდაა წარმოჩენილი როსტომ ჩხეიძის რომანში. პოეტის თეატრალიზებული საუბრის მანერა და არაბუნებრივად დაწვრილებული ხმაც მორგებული ნიღაბი იყო. რომანისტის დამსახურებაა, ასევე ოლგა ოკუჯავას მწერლური მონაცემების წარმოჩენა მისი წერილების მეშვეობით. როსტომ ჩხეიძე არის ჩინებული მთხრობელი. ის ბოლომდე ინარჩუნებს თხრობის რიტმს, აქვს ძალიან მდიდარი ლექსიკური მარაგი და მრავალმხრივ საინტერესო ინტერპრეტაციები„,— განაცხადა რომანის განხილვისას ლევან ბრეგაძემ.

როსტომ ჩხეიძის რომანის მნიშვნელობასა და საინტერესო მიდგომებზე ასევე ისაუბრეს ნონა კუპრეიშვილმა, მურმან ჯგუბურიამ, ემზარ კვიტაიშვილმა, ნათია სიხარულიძემ, ზაზა აბზიანიძემ, ელგუჯა თავბერიძემ, იოსებ ჭუმბურიძემ, გივი შაჰნაზარმა, ოთარ ჯანელიძემ.

**მედიანიუსი**

# ვის სჭირდება სოციალური დიალოგი?

**მერი ნამორაძე**

**პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებმაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქეს და დასაქმებულთა უფლებების დასაცავად გააქტიურდნენ, სოციალური დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობენ. სხვა საქმეა, რამდენად მოისურვებენ ამ დიალოგში ჩართვას დამსაქმებლები, რომელთათვისაც ეს არცთუ სასურველი პროცესია.**

არცთუ სასურველია ქართული რეალობისთვის, თორემ საზღვარგარეთ ამგვარი დიალოგი საუკუნოვან გამოცდილებას ეყრდნობა. სოციალურ დიალოგში მოიაზრება ისეთი მრავალფეროვანი პროცესები, როგორიცაა მოლაპარაკებები, კონსულტაციები ან ინფორმაციის გაცვლა ხელისუფლების, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებს შორის, რომელთა მიზანი საერთო ინტერესების გამოკვეთაა.

მაინც რა საჭიროა ამგვარი დიალოგი? შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას თუ დავუჯერებთ, სოციალური დიალოგის გზით შესაძლებელია ადამიანთა ღირსეული და პროდუქტიული შრომის მიღწევა თავისუფლების, თანასწორობის, უსაფრთხოების და ადამიანური ღირსების პირობებში. თუ ქართულ რეალობას გადავხედავთ, ჩვენი დასაქმებულები სწორედაც რომ სამუშაო პირობების და სათანადო ანაზღაურების მოლოდინში არიან. დამსაქმებელთა ნაწილი ფეხს უბამს საერთაშორისო მოთხოვნებს და უარს არ ამბობს სოციალურ დიალოგზე, როდესაც უნდა მოხდეს დაპირისპირებიდან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე გადასვლა.

სოციალური დიალოგისადმი ფეხის აბმას, რა თქმა უნდა, შრომის ახალ კოდექსზე მუშაობამ შეუწყო ხელი, როცა ხელისუფლებამ ცალსახად განაცხადა, რომ აღარ აპირებს კაბალურ მდგომარეობაში ამყოფოს დასაქმებულები და მათ კანონიერ უფლებებზე უნდა იზრუნოს.

სოციალურ დიალოგს მკაფიოდ ასხვავებენ ვაჭრობისგან, ვინაიდან ის პარტნიორობის იდეას ეყრდნობა და საერთო ინტერესების გამოკვეთის შესაძლებლობას გულისხმობს. სოციალურ პარტნიორთა ურთიერთობებში შეიძლება მონაცვლეობით იყოს თანამშრომლობაც და კონკურენციაც. მთავარია, მხარეებს გააზრებული ჰქონდეთ პარტნიორული ურთიერთობების აუცილებლობა.

სოციალურ დიალოგში შესაძლოა მონაწილეობა მიიღონ არა მარტო ტრადიციულმა პარტნიორებმა — სახელმწიფომ, პროფკავშირებმა და დამსაქმებლებმა, არამედ სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებმაც — არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მცირე ბიზნესის თუ კოოპერატივების წარმომადგენლებმა და ფერმერთა ასოციაციებმა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები ამბობენ, რომ წარმატებული სოციალური დიალოგი ზრდის მიღებული გადაწყვეტილებების პოპულარობასა და ლეგიტიმურობას. ამგვარ პირობებში დაცულია საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესები, რაც ამცირებს სოციალურ უთანასწორობას და ზრდის საზოგადოების რესურსებს დემოკრატიულ პროცესებში თანამონაწილეობისთვის.

რამდენად მოხერხდება უახლოეს მომავალში სოციალური უთანასწორობა, ძნელი სათქმელია. ამას დამსაქმებელთა კეთილი ნება სჭირდება.

# პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ნიკო ნერგაძე დაინიშნა



საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელად ქართული ,,ფლეიბოის“ ყოფილი რედაქტორი, რადიო ,,თავისუფლების“ ბლოგერი ნიკო ნერგაძე დაინიშნა.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ახალი ხელმღვანელი დღეს თანამშრომლებს შეხვდა. აღნიშნული თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა მაკა გიგაურმა თანამდებობა დატოვა და საბურთალოს გამგებლის მოადგილედ დაინიშნა.

ნიკო ნერგაძე საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტშიც კითხულობს ლექციებს, გარდა ამისა იყო ,,ჯეოსტარის“ ჟიურის წევრიც.

**მედიანიუსი**

# დიმიტრი ხვთისიაშვილი ედინბურგის ფესტივალზე მიიწვიეს

ეკა ირემაშვილი

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველი დიმიტრი ხვთისიაშვილი ედინბურგის საბავშვო თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე ჩავა. ქართველი რეჟისორი ფესტივალზე სტუმრის სტატუსითაა მიწვეული. მასთან ერთად ედინბურგის ფესტვიალზე მიწვეულია მმართველის მოადგილე ლიკა წულაძეც.

როგორც მოზარდ მაყურებელთა თეატრში აცხადებენ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფესტივალზე მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი სტუმრის სტატუსით მიიწვიეს.

საბავშვო თეატრების საერთაშორისო ფესტივალი ედინბურგში, სახელწოდებით „იმეჯინეით“, 6-13 მაისს ჩატარდება. საფესტივალო სპექტაკლების წარმოდგენის პარალელურად, ედინბურგში დაგეგმილია საქმიანი შეხვედრებიც, რომლებიც მომავალში ბრიტანეთისა და თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრების ერთობლივი პროექტებით გაგრძელდება.



7 მაისს ლონდონის მოზარდ მაყურებელთა თეატრ „იუნიკორნში“ სამხატვრო ხელმძღვანელის, პურნი მორელის პირადი მიწვევით დიმიტრი ხვთისიაშვილი „რომეო და ჯულიეტას“ პრემიერას დაესწრება. დიმიტრი ხვთისიაშვილი ედინბურგში ფესტივალზე ჩასვლამდე საქმიანი ვიზიტით უკვე იმყოფებოდა პურნი მორელისთან, რომელმაც გამოთქვა დიდი სურვილი, ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრთან მომავალში ითანამშრომლოს. 11 მაისს დაგეგმილია შეხვედრა „იუნიკორნის“ სამხატვრო ხელმძღვანელ პურნი მორელის, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის დიმიტრი ხვთისიაშვილისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილს შორის.

— მარტში გავემგზავრე ლონდონში, შესანიშნავ ლონდონურ თეატრ „უნიკორნში“, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი პურნი მორელი. იგი ასევე არის საბავშვო თეატრის გაერთიანების პრეზიდენტი ბრიტანეთში. ჩვენ შემოგვთავაზეს თანამშრომლობა და გაიმართა „უნიკორნის“ ერთი სეზონის შოუქეისი. ჩვენ გვიჩვენეს სამი სპექტაკლი და გაიმართა კონფერენცია ევროპის საბავშვო თეატრების ხელმძღვანელებისა. ეს არის ერთი ის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც იდეაში გვაქვს. საზღვარგარეთის გასვლები ბატონი შალვა გაწერელიას დროს არსებობდა და მერე შეწყდა. ახლა გვინდა, რაღაცნაირად თეატრი ჩავრთოთ ამ საერთო ევროპულ თუ მსოფლიო ოჯახში. თავიდან მხოლოდ სატელეფონო და საფეისბუქო მიმოწერებით შევთანხმდით, რომ ხელს მოვაწერდით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, ასევე თავად ქალბატონი პურნი ჩამოვა ამ თეატრში სპექტაკლის დასადგმელად. „უნიკორნის“ ასაკობრივი ზღვარი 2-დან 21 წლამდე, თინეიჯერების მთელი სეგმენტი აღებული აქვს ამ თეატრს, — განაცხადა დიმა ხვთისიაშვილმა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მმართველის ლონდონში ვიზიტისას საბავშვო თეატრების კონფერენციის ფარგლებში, ლონდონის „იუნიკორნისა“ და თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრები ერთობლივ პროექტზე შეთანხმდნენ, რომელიც, თავის მხრივ, „იუნიკორნის“ თეატრის რეჟისორის საქართველოში ჩამოსვლასა და თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე სპექტაკლის დადგმას ითვალისწინებს.

ედინბურგში გამგზავრებამდე დიმიტრი ხვთისიაშვილმა მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ დადგა.

— „ირინეს ბედნიერების“ დადგმაც ერთგვარად ბატონი შალვა გაწერელიას გარშემო ტრიალია. ეს იყო მისი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი. მინდოდა, ცოტა სხვა თვალით შემეხედა ამ პიესისთვის, რომელიც ძალიან მიყვარს. „ირინეს ბედნიერება“ 2011-12 წლების სეზონში დავდგი რუსთავის თეატრში. როდესაც პრემიერა გამოვიდა, რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა ბატონი შალვა. აფიშაზე მოვასწარი და მივაწერე, რომ ეძღვნებოდა მის ხსოვნას. ამ სპექტაკლში მთავარ როლს თამაშობდა დათო ხახიძე. როცა დადგა საკითხი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა, თან რუსთავის თეატრში ახალი ხელმძღვანელი მივიდა და შემომთავაზა, იქნებ აღგედგინათ ეს სპექტაკლიო, გადავწყვიტე, რაც არ მომწონდა ამ სპექტაკლში, გამესწორებინა, შემადგენლობაზეც მეფიქრა, მაგრამ საბოლოოდ კი არ აღვადგინე რუსთავის თეატრში, არამედ დავდგი ამ თეატრში, თან მთავარი როლის შემსრულებელი აქ მყავდა, — აღნიშნა დიმიტრი ხვთისიაშვილმა.

# მარჯანიშვილის თეატრი ლონდონში მიდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ყველაზე „არაშექსპირული“ პიესაა, მეორე მხრივ კი თითქოსდა შექსპირის ყველა მომდევნო პიესის საწყისია აქ გაბნეული, თითქოს დრამატურგის მომავალ პიესათა ვარიაციაა. აქ აღმოაჩენთ ჰამლეტის ორეულებს, „ზაფხულის ღამის სიზმრის“ მელანქოლიურ გმირებსა და პროსპეროს მსგავს იდუმალ, ბრძენ და ნახევრად ღვთაებრივ არსებებს. ეს პიესა ერთდროულად შუა საუკუნეების მისტერიასაც მოგვაგონებს, ქალაქის მოედანზე გათამაშებულ თოჯინურ ბუფონადასაც და ფილოსოფიურ თუ ფსიქოლოგიურ დრამასაც. ამ პიესიდან, როგორც სარკიდან, ისე მოჩანს არისტოფანე, დანტე და, ასე განსაჯეთ, ჩეხოვიცა და ბრეხტიც კი.

ლევან წულაძის ამ სპექტაკლის თბილისური პრემიერა შარშანდელ თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული პროგრამის ფარგლებში შედგა.

— ეს უცნაური და რთული პიესაა, მისი სირთულე კი დამაბნეველ და პარადოქსულ სიმარტივეშია. ჩემი თვალით რომ არ მენახა, არც დავიჯერებდი: მაყურებელს დაშლა არ უნდოდა სპექტაკლის დასრულების შემდეგ. ხალხი ოც-ოცი წუთის განმავლობაში უკრავდა ტაშს, ბღაოდა, ყვიროდა, ცეკვავდა (ისე, თითქოს მაყურებლებისთვისაც ქორეოგრაფ გია მარღანიას მიეცა დავალებები) ვახტანგ კახიძისეულ მელოდიურ და ადვილად აკვიატებად რიტმებზე. მსახიობებს დაუსრულებლად იხმობდნენ სცენაზე. პირველად, არ ვაჭარბებ, მაშინ დამიარა ტანზე ჟრუანტელმა, როცა ქართულად თქმული სიტყვები გავიგონე „გლობუსის“ სცენიდან (400 წლის წინ აქ თამაშობდნენ შექსპირის ახლად დაწერილ, ცხელ-ცხელ პიესებს!), სიამაყის განცდა კი ახლაც არ მტოვებს. „როგორც გენებოთ“ საოცრად ოპტიმისტური, ვარსკვლავური, კეთილი და დახვეწილი სპექტაკლია, სადაც როგორც მსახიობების, ასევე რეჟისორების საოცარი ტემპერამენტი კარგად ჩანს, — ამბობს ლაშა ბუღაძე.

სიუჟეტის მიხედვით, ჰერცოგის ქალიშვილს როზალინდას სასახლის კარზე გამართულ ორთაბრძოლაში გამარჯვებული ორლანდო შეუყვარდება. როზალინდას მამა ჰერცოგი, მისივე ბიძამ სასახლიდან განდევნა. როზალინდას პოპულარულობით გაღიზიანებულმა ბიძამ კი ძმისშვილსაც უბრძანა სასახლის დატოვება. არდენის ტყეში, სადაც როზალიდნას მამა სხვა დიდებულებთან ერთად იმალებოდა, მამის ძებნის დროს ბიჭის ტანსაცმელში გადაცმული როზალინდა კვლავ ხვდება ორლანდოს და მას სიყვარულზე რჩევებს აძლევს. უილიამ შექსპირის სხვა რომანტიკული კომედიების მსგავსად, პიესის ძირითადი თემა აქაც სიყვარულია.

— პიესის შინაარსი ძალიან რთულია, მარტო შინაარსის გარკვევას დაახლოებით ორი თვე მოვუნდით, სასახლეში მყოფი ადამიანები დაძაბულ და რთულ პირობებში არიან, ისინი გარბიან ტყეში, ტყეში კი არის თავისუფლება და სწორედ თავისუფლების ჰიმნია ეს პიესა, — მიაჩნია ლევან წულაძეს.

ეკა ირემაშვილი


## განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასალღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში)მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ:. 598 24-40-90.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.


# ფოლკლორის ცენტრში სააღდგომო გამოფენა გაიხსნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ოსტატის თამაზ გოზალიშვილის პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

— ქართული ჭედური ხელოვნება სათავეს ათასეული წლების მიღმა იღებს. ორიგინალური ჭედური ხელოვნება განსაკუთრებით განვითარდა და აღმავლობის გზას დაადგა ქრისტიანობის ხანაში, კერძოდ, XI-XIII საუკუნეებში. ესაა ქართული ოქრომჭედლობის „ოქროს ხანა“ — სვანური ჭედური ხატები, ბექა და ბეშქენ ოპიზრების ნაოსტატარი მსოფლიო შედევრებს განეკუთვნება. შუა საუკუნეების შემდეგ ქართული ოქრომქანდაკებლობის სკოლა დასუსტდა და მისი აღორძინება მხოლოდ XX საუკუნეში მოხერხდა, მხატვრების ირაკლი ოჩიაურის, კობა გურულისა და გურამ გაბაშვილის მიერ. მათი გზა გაარძლეს ალიკა გორგაძემ, სოსო ქოიავამ, ანდრო ჭაბუკიანმა და თამაზ გოზალიშვილმა.

თამაზ გოზალიშვილი, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, 1999-2006 წლებში მოღვაწეობდა საბერძნეთსა და კვიპროსზე. მხატვარმა ნიქოზიაში, მოხერას მონასტერში, არსებული ლუკა მოციქულის დაწერილი ხატი ვერცხლის პერანგით შეამკო-მოაპერანგა. ამავე მონასტერში დაბრძანებულია მისი ნახელავი მარმარილოს სადგამიანი ორი ორმეტრიანი ვერცხლის ჭედური ჯვარი და 180-სანტიმეტრიანი ვერცხლის ჯვარი, რომლის წინ ჩვენმა პატრიარქმა მუხლმოდრეკილმა ილოცა. სტავრიდის მონასტერი ღვთის ნებითა და

გაგრძელება მე-10 გვერდზე


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

# სუპერ-ბაიერნი — კატალონია ბავარიასთან უძლურია

**ბარსელონა – ბაიერნი 0:3**

**0:1 რობენი (48), 0:2 პიკე (72ავ), 0:3 მიულერი (76)**

ბარსელონა: ვალდესი, ალვესი, პიკე, ბარტრა (მონტოია 87), ადრიანო, სონგი, ჩავი (სანჩესი 55), ინიესტა (ტიაგო 64), ვილია, ფაბრეგასი, პედრო

ბაიერნი: ნოიერი, ლამი (რაფინია 77), ბოატენგი, ვან ბუიტენი, ალაბა, მარტინესი (ტიმოშჩუკი 74), შვაინშტაიგერი (გუსტავო 66), რობენი, მიულერი, რიბერი, მანჯუკიჩი

მაშ ასე — გერმანული ფინალი შედგა! მიუნხენის „ბაიერნი“ 25 მაისს, ლონდონში „უემბლის“ შესანიშნავ არენაზე ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალში „დორტმუნდს“ დაუპირისპირდება!

ეს გასაკვირიც არ იყო — ბავარიელებმა პირველ მატჩში იმხელა ფორა დაიბევეს, რომ მის ფინალში გასვლას წინ აღარაფერი უდგა. იუპ ჰაინკენსის შეგირდები ზედიზედ მეორედ გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. რაც მთავარია, ნახევარფინალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გულშემატკივარს ნამდვილად შესანიშნავი სანახაობა ელის.

თუმცა, ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ბავარიელებმა ისევ არ დაინდეს მეტოქე და „ბარსელონასგან“ ქვა ქვაზე არ დატოვეს. გეტყვით იმასაც, რომ მასპინძლებს ლეო მესი აკლდათ, მაგრამ გერმანული გრანდი ისეთი შემართული იყო, რომ მათი შემჩერებელი არავინ იყო. არც მესის მოედანზე გამოჩენა იყო დიდი რისკის საფასური — კატალონიელებს არ ულირდათ მათი მთავარი ფეხბურთელის ჯანმრთელობის კითხვის საკითხის ქვეშ დაყენება.

გერმანელებმა ზუსტად ისე ითამაშეს, როგორც უწოდებენ — „მანქანა“. შეტევაში ხომ ჩინებულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ დაცვაშიც შესანიშნავად გაისარჯნენ. უბრალო საქმე არ არის, „ბარსელონას“ 360 წუთის მანძილზე გოლი არ გაატანინო და საბოლოო ჯამში 7:0 დაამარცხო!

როგორც ყოველთვის, ბურთს ამჯერადაც კატალონიელები აკონტროლებდნენ, მაგრამ „ბაიერნის“ უპირატესობა მაინც აშკარა იყო. მასპინძლები სახიფათო მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ.

პირველ ტაიმში „ბაიერნმა“ რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტია, მაგრამ ამ ყველაფერმა შედეგი ვერ გამოიღო. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ყველაფერი დალაგდა.

ანგარიში 48-ე წუთზე გაიხსნა: რობენმა ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო და ჩვეულ სტილში გაილაღა — საჯარიმოში შესულმა ადრიანო მოატყუა და შორეულ კუთხეში დარტყმით, ეფექტური გოლი გაიტანა. ეს ნიშნავდა, რომ ფინალში გასასვლელად, „ბარსას“ უკვე 6 გოლის გატანა სჭირდებოდა, რაც ფანტასტიკის სფეროს წარმოადგენდა.

ამას ტიტო ვილანოვაც მიხვდა, რომელმაც მოედნიდან ჯერ ხავი, შემდეგ კი, ინიესტა გაიყვანა. ფაქტობრივად, უცენტროდ დარჩენილ „ბაიერნს“ კი ყველაფრის ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებია.

მეორე გოლი 72-ე წუთზე გავიდა — მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შესულმა რიბერიმ საჯარიმოში ჩააწოდა, მაგრამ კარისკენ მიმართულება პიკემ მისცა.

„ბარსას“ მე-3 გოლი მიულერმა გაუტანა, რომელმაც საჰაერო ბრძოლა ორ მეტოქეს მოუგო და 2 მატჩის ჯამში, ანგარიში 7:0 დააფიქსირა.ს

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი — არიენ რობენი

მიუხედავად იმისა, რომ მთელმა „ბაიერნმა“ დიდებულად ითამაშა, ჰოლანდიელმა ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. ყველაზე „ეგოისტურ“ ფეხბურთელად მიჩნეულმა რობენმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გადაწყვიტა მატჩის ბედი. ამის გარდა, „აკლებული“ ჰყავდა მთელი ფლანგი, მონაწილეობდა თითქმის ყველა სახიფათო შეტევაში და კატალონიელებს უამრავ პრობლემას უქმნიდა.

***მატჩის შემდეგ***

**იუპ ჰაინკენსი:**

— ვფიქრობ, კარგია, რომ ჩემმა გუნდმა მატჩი კარგად ორგანიზებულმა დაიწყო. პირველსავე წუთებიდან ბრწყინვალედ ვთამაშობდით. მიუხედავად ამისა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიონელ მესის გარეშე, „ბარსელონა“ აბსოლუტურად სხვა გუნდია. დარწმუნებული ვარ, ორი მატჩის ჯამში 7:0 გამარჯვებას არავინ ელოდა. ესპანური ფეხბურთს, განსაკუთრებით „ბარსელონას“, შესანიშნავად ვიცნობ. ვიცი კატალონიელების ფილოსოფია და ის, როგორი თამაშიც მათ უყვართ. „ბაიერნმა“ ჩემი ტაქტიკური დავალებები ბრწყინვალედ შეასრულა. ორგანიზება უმაღლეს დონეზე იყო. რობენი მეკარესთან პირისპირ გაგვყავდა — ისე, როგორც მას უყვარს. პირველმა გოლმა მატჩის ბედი გადაწყვიტა. ვერ ვიტყვი, ეს „ბარსელონას“ ერის დასასრული იყო თუ არა. კატალონიელებს ძალიან ბევრი ფეხბურთელი აკლდათ, ჩვენ კი, შესანიშნავი ფეხბურთი ვაჩვენეთ. „დორტმუნდმა“ ფინალში თამაში დაიმსახურა, რადგან წარმოუდგენელ ფეხბურთს თამაშობს. ისიც აღვნიშნოთ, რომ მათი ფინალში გასვლა ცოტა არ იყოს მოულოდნელია. იმედია, „უემბლიზე“ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. „ბარსასთან“ მატჩს კარგად გავაანალიზებთ, ფინალში გასვლას ვიზეიმებთ და „დორტმუნდთან“ ბუნდესლიგის უახლოესი ტურის მატჩისთვის მოვემზადებით.

**ტიტო ვილანოვა:**

— „ბაიერნს“ ფინალში გასვლას ვულოცავ. ამ გუნდმა იმ დონის ფეხბურთი ითამაშა, რომელზეც იმყოფება. მადლობელი ვარ ქომაგების, რადგან პირველი წუთიდან უკანასკნელამდე გვქომაგობდნენ. ჩემი გუნდი ბოლომდე შედეგის მიღწევას ცდილობდა. ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ თავი არ დაეხარათ და პირველ ტაიმში ღირსეულადაც ვიბრძოლეთ. ეჭვგარეშეა, მე-2 ტაიმის დებიუტში, „ბაიერნის“ გოლმა დიდი დარტყმა მოგვაყენა და ყოველგვარი ინტრიგაც მოსპო. ტურნირის ამ სტადიას „ბაიერნი“ გაცილებით უკეთეს ფიზიკურ ფორმაში შეხვდა. გერმანელები ძალზე ენერგიულად გამოიყურებოდნენ, ჩვენები — პირიქით. გარდა ამისა, ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა. მესიმ ბილბაოში ითამაშა, რადგან თავს ნორმალურად გრძნობდა. იმ მატჩის მიწურულს, ლეომ ტკივილი იგრძნო, თუმცა ტრავმის გამიზეზებასთან საქმე არ გვქონია. მესი გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ თავს სრულ მზადყოფნაში ვერ გრძნობდა. თავადაც ხვდებოდა, რომ გუნდს დიდ დახმარებას ვერ გაუწევდა. ცხადია, მესის არყოფნა ძალიან დაგვეტყო. უკეთესად თამაში გვსურდა, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ბევრი რამ პირველ მატჩში გადაწყდა. ისინი, ვინც მთელი სეზონი ვარჯიშობდნენ და ნაკლები სათამაშო დრო ეთმობოდათ, „ბაიერნთან“ მატჩში დაგვეხმარნენ. ჩვენც, ისევე როგორც „რეალს“, გერმანულ კლუბებთან ბრძოლა შეგვიძლია, მაგრამ წლევანდელ ნახევარფინალებში, აშკარად გვაჯობეს.

# მურთაზ შელია: „ალანიაში გატანილი ყველა გოლი მახსენდება“

ვისაც მურთაზ შელია ახსოვს, მისი კარიერაც კარგად ეცოდინება — ქართული კლუბების გარდა, მას გერმანულ „საარბრიუკენში“, ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და ინგლისურ „სიტიში“ უთამაშია.

ახლახან „ალანიას“ პრეზიდენტი გარდაიცვალა და მურთაზმა მწუხარება გამოთქვა, რის შემდეგაც მისი ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— ფეხბურთში თქვენი პირველი ნაბიჯები გაიხსენეთ.***

— დავიბადე სოფელ კოჩარაში, რომელიც 30 კილომეტრითაა დაშორებული ოჩამჩირიდან. იქაურ გუნდ „ამირანში“ დავიწყე თამაში, ერთი წლის შემდეგ კი თბილისის „დინამოდან“ მომივიდა მოწვევა. ახალგაზრდა ბიჭისთვის ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო — ფაქტობრივად, დიდ ფეხბურთში კარის გაღება.

***— ფეხბედნიერი ყოფილხართ. „დინამოში“ პირველივე წელს ჩემპიონი გახდით. ასევე მოხდა „ალანიაში“. როგორ მოხვდით ვლადიკავკაზში?***

— ჯერ იყო გერმანული „საარბრიუკენი“, სადაც თითქმის მთლიანი სეზონი გავატარე და ისევ „დინამოში“ დავბრუნდი. 1995 წელს „დინამოში“ 10 მატჩი ჩავატარე, მათ შორის ერთი ავსტრიის „ტიროლთან“, რომელიც 1:0 მოვიგეთ. ამ შეხვედრას ვალერი გაზაევიც ესწრებოდა, რომელმაც ვლადიმერ გუცაევის მეშვეობით შემომითვალა, რომ „ალანიაში“ სურდა ჩემი ჩარიცხვა.

***— რა დაგამახსოვრდათ გაზაევთან პირველი შეხვედრის შემდეგ?***

— პირველი კითხვა ასეთი იყო — როგორ იქნება პრემიების საკითხი? მან კი მიპასუხა, რომ პრემიებს მხოლოდ ჩემპიონობის შემთხვევაში მივიღებდით. მაშინ მივხვდი, რომ გაზაევს სერიოზულად ჰქონდა დაგეგმილი ჩემპიონობა.

***— რა იყო მთავარი, რის ხარჯზეც „ალანია“ ბრწყინავდა?***

— პირველ რიგში, გაზაევის რკინის ხელი. ამასთან, წარმატებული სატრანსფერო პოლიტიკა, რის შემდეგაც გუნდში შეიკრიბნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ ხაპოვი, თეთრაძე, პაგაევი, ჯიოევი, თედეევი, კასიმოვი, სულეიმანოვი... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მთავარია, რომ ერთიანი გუნდი იყო და სულ მოგება გვწყუროდა.

***— „ალანიაში“ 9 გოლი გაიტანეთ, ყველაზე ხშირად რომელი გახსენდებათ?***

— ყველა. 1996 წელს ნოვოროსიისკში ვთამაშობდით, მატჩი სრულდებოდა და 1:1 იყო. გაწბილებული გაზაევი საფინალო სასტვენს არ დაელოდა და გასახდელში შევიდა, ამ დროს კი ინალ ჯიოევი ჩამოაწოდა და თავით გადამწყვეტი გოლი გავიტანე. გასახდელში გაზაევი შემომეხვევია. იმ სეზონში 5 გოლი გავიტანე და ხუთივე — სტუმრად.

***— „ანდერლეხტთან“ უეფას თასზე ვლადიკავკაზში გატანილი გოლი?***

— როგორ არ უნდა მახსოვდეს?! მით უმეტეს, მაშინაც გადამწყვეტი გოლი გავიტანე. ეს „ალანიას“ ერთადერთი მოგება იყო ევროთასებზე იმ დროის განმავლობაში, როცა გუნდში ვიყავი.

***— გუნდის ცნობილი ადმინისტრატორი ბორის ძასოხოვი ამბობდა, რომ ყოველი მატჩის შემდეგ თქვენი ბუცები შესაკეთებლად მიჰქონდა.***

— სხვა რა გზა იყო? იმ დროს ხომ ჩემი არასტანდარტული ზომის ბუცები დეფიციტი იყო. 49 ზომის...

***— „მანჩესტერ სიტიმ“ როდის დაგადგათ თვალი?***

— 1998 წელს ინგლისი-საქართველოს მატჩისას. მალევე 4,5-წლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. სიმართლე გითხრათ, რადგან „სიტი“ ქვედა ლიგაში გამოდიოდა, იქ თამაშის სურვილი დიდად არ მხიბლავდა. თუმცა, ვფიქრობდი, რომ თუ „სიტიში“ თავს გამოვიჩენდი, სხვა, უფრო ძლიერ კლუბში გადავიდოდი. ამიტომაც გავაფორმე 2,5-წლიანი. რამდენიმე თვის შემდეგ კახა ცხადაძეც შემოგვიერთდა, ხოლო ყაველაშვილი „გრასჰოპერში“ გადავიდა, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგაც შვეიცარიაში ცხოვრობს.

***— როგორი დებიუტი გქონდათ ნისლიან ალბიონზე?***

— პირველივე მატჩში გოლი გავიტანე. ბირმინგემში ვთამაშობდით. 89-ე წუთი იყო, თავით შევაგდე, თუმცა დარჩენილ მცირე დროში 2 გოლის გაშვება მოვახერხეთ და წავაგეთ.

***— „სიტიში“ 2,5 წელი იყავით და მხოლოდ 15 მატჩი ჩაატარეთ. რატომ?***

— თავიდან თითქმის შეუცვლელად ვთამაშობდი, მაგრამ სამწუხაროდ, მძიმე ტრავმა მივიღე — ჯვარედინი იოგები გავიწყვიტე და ასე დასრულდა ჩემი კარიერა ინგლისში. თბილისში დავბრუნდი, მაგრამ ძველებურ დონეზე ვეღარ ვთამაშობდი და საბოლოოდ, კარიერის დასრულებაზე მივიღე გადაწყვეტილება.

***— თუმცა საფეხბურთო სფეროში დარჩით, თბილისის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტიც იყავით. რატომ წახვედით?სს***

— როგორც იტყვიან, არ გამოვიდა.

***— და ბიზნესი აირჩიეთ?***



— დიახ, მაქვს რესტორანი „მონოპოლი“, რომელიც უკვე საკმაოდ პოპულარულია თბილისში — მათ შორის, ცნობილი ფეხბურთელებისთვისაც.

***— რევაზ ჩელებაძე ამბობს, რომ ფეხბურთელებს შორის საუკეთესო თამადა ალექსანდრე ჩივაძეა.***

— ასეცაა. ამასთან, ჩივაძეს საოცარი იუმორის გრძნობაც აქვს.

***— ამბობენ, რომ ყაველაშვილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა სურს.***

— დიახ, ეს მსმენია.

***— ცნობილმა კომენტატორმა კოტე მახარაძემ თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში თქვა, რომ საქართველოში ფეხბურთი გარდაიცვალა. მართალი იყო?***

— ვფიქრობ, რუსეთის პრემიერლიგასთან შედარებით, საქართველოს ჩემპიონატის დონე ძალიან დაეცა. ჩვენი ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთი კი, მას შემდეგ, რაც კომერციულ საწყისებზე გადავიდა, ცოტას თუ აინტერესებს. ძველი 35-ე საფეხბურთო სკოლა, რომელიც განთქმული იყო, დღეს აღარც არსებობს. აი, ამაშია ჩვენი უბედურება.

***— „ალანიას“ ბედით ინტერესდებით?***

— რა თქმა უნდა. ვქომაგობ და მსურს, რომ საუკეთესო პერიოდი დაუბრუნდეს.

***— 2010 წელს ვლადიკავკაზში მეუღლესთან, ლიკასთან ერთად იყავით „ალანიას“ ჩემპიონობის 15 წლისთავის აღსანიშნავად. როგორ ცხოვრობს თქვენი ოჯახი?***

— ბედნიერები ვართ. სამ შვილს ვზრდით. 5 წლის დავითს ორი უფროსი და უვლის — ანა და ელენე.

# ჩისკო: საქართველოს სიურპრიზი არ შეუძლია

პოპულარულ ესპანურ სპორტულ გამოცემა „მარკას“ ნომერში, „დინამოს“ ესპანელი ლეგიონერების შესახებ საინტერესო პუბლიკაცია გამოქვეყნდა, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

თბილისის „დინამოს“, რომლის რიგებშიც 4 ესპანელი მოთამაშე ირიცხება, ლიგაში გამარჯვებას ერთი ნაბიჯი აშორებს. გარდა ამისა, ჩისკო მუნიოსს 21 გოლი აქვს გატანილი და ლიგის საუკეთესო ბომბარდირია. ასევე, გუნდი თასის ნახევარფინალშია გასული და დუბლის მოპოვება შეუძლია.

უეფას ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელ (1981 წელი), საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონ (1964 და1978 წლებში) და საქართველოს ჩემპიონატის 13-გზის გამარჯვებულ „დინამოს“ უკვე 5 წელია ქვეყნის ჩემპიონის ტიტული არ მოუპოვებია. ამ ერთგვარი უიღბლობის მოხსნა ესპანელ ფეხბურთელთა ჯგუფმა ითავა.

ჩისკო მუნიოსი, მიკელ ალვარო, უსტარიცი და კარლეს კოტო არიან იმ შემადგენლობის წევრები, რომელიც ჩემპიონის ტიტულის მოპოვებიდან ერთ ნაბიჯშია. დარჩენილ სამ თამაშში ერთი გამარჯვება ამ მიზნის მისაღწევად საკმარისია. გარდა ამისა, ჩისკო მუნიოსი ლიგის ბომბარდირია (პიჩიჩი) 21 გოლით.

„უელვას“, „ბეტისისა“ და „ვალენსიას“ ყოფილი ფეხბურთელი, გუნდის ცენტრალური ფიგურაა. გუნდის, რომლის წევრობაც ძალიან მოსწონს, იმდენად, რომ ესპანეთში დაბრუნებას გამორიცხავს:

**ჩისკო:**

— კონტრაქტის თანახმად ერთი წელი დამრჩა და იმედი მაქვს ჩემპიონთა ან ევროპის ლიგაში თამაშს მოვახერხებთ. ვიცი, რომ ესპანეთში დაბრუნების შემთხვევაში ამ მიზნებისათვის ვერ ვიბრძოლებ და გარდა ამისა, არსებული კრიზისის გამო გადახდისუნარიანი კლუბების მოძებნაც კი ჭირს. აქ კი საუკეთესო პირობებია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფეხბურთის დონე ახლოსაც ვერ მიდის ესპანურთან, ჩისკო ხაზგასმით აღნიშნავს „დინამოს“ განსაკუთრებულ პირობებსა და ინფრასტრუქტურას — ისეთი ბაზა გვაქვს, რომლის მსგავსიც ჩემი ესპანეთში თამაშის დროს არსად გვქონია, ალბათ, „ვალენსიის“ გარდა“.

32 წლის ასაკში ჩისკო უკვე სამწვრთნელო კარიერაზე ფიქრობს და ქართულ გამოცდილებას ამ გზაზე მიმავალ პირველ ნაბიჯად აღიქვამს და აღნიშნავს, რომ ძალიან ეხმარება ინგლისურის სწავლა და სამწვრთნელო მუშაობის სხვა ასპექტებზე დაკვირვება.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, რომელიც ესპანეთის მეტოქეა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში, აღნიშნავს, რომ გუნდი განვითარების პროცესშია, მაგრამ ვერ ხედავს იმის წინაპირობას რომ ფინეთის მსგავსად სიურპრიზი შესთავაზონ ესპანელებს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-ბაიერნი | 0:3 |

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი ოფები**

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი-ბოსტონი | 86:92 |
| სერიის ანგარიში: | 3:2 |
| ინდიანა-ატლანტა | 106:83 |
| სერიის ანგარიში: | 3:2 |
| ოკლაჰომა-ჰიუსტონი | 100:107 |
| სერიის ანგარიში: | 3:2 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფები**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-ტორონტო | 4:1 |
| სერიის ანგარიში: | 1:0 |
| პიტსბურგი-აილენდერსი | 5:0 |
| სერიის ანგარიში: | 1:0 |
| ვანკუვერი-სან ხოსე | 1:3 |
| სერიის ანგარიში: | 0:1 |

# ივანაუსკასს სიტყვიერი გაფრთხილება აკმარეს

„მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონის მედია-ცენტრში სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა.

კომიტეტმა შემდეგი სამი საკითხი განიხილა:

1. საფეხბურთო კლუბ „დინამო“ თბილისის შუამდგომლობა, კლუბის ფეხბურთელის — ჩისკოს დისკვალიფიკაციის მოხსნასთან დაკავშირებით;

2. 2013 წლის 27 აპრილს ჩატარებული გორის „დილასა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის დასრულების შემდეგ, „დილას“ მთავარი მწვრთნელის — ვალდას ივანაუსკასის მიერ პრესის საშუალებით გაკეთებული განცხადების თაობაზე;

3. 2013 წლის 27 აპრილს, გორის „დილასა“ და თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრების მხრიდან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შესახებ;

აღნიშნულ საკითხებზე კომიტეტის წევრებმა, დაახლოებით, ორი საათი იმსჯელეს. მოუსმინეს ვალდას ივანაუსკასსა და დილა-დინამოს მატჩის დირექტორს. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ კი, კომიტეტის თავმჯდომარემ — ჯიმშერ ტყებუჩავამ მედიას დაკისრებული სასჯელების შესახებ პირადად ამცნო. აქვე გეტყვით, რომ დისციპლინარებს „დილას“ მთავარი მწვრთნელი არ დაუსჯიათ და მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლნენ.

**ჯიმშერ ტყებუჩავა:**

— პირველ რიგში, განვიხილეთ თბილისის „დინამოს“ შუამდგომლობა მათი ფეხბურთელის — ჩისკოს დისკვალიფიკაციის გაუქმების თაობაზე. იმ დისკვალიფიკაციისა, რომელიც ჩვენმა კომიტეტმა ფეხბურთელს წინა სხდომაზე დაუწესა. ეს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, ჩისკოს კვლავ გამოტოვებს შემდეგ თამაშს. რაც შეეხება მთავარ საკითხს, ეს იყო 27 აპრილს, საქართველოს ჩემპიონატის 29-ე ტურის ცენტრალური მატჩი გორის „დილასა“ და „დინამო“ თბილისს შორის, სადაც გულშემატკივრებს შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, წესრიგის დასამყარებლად და სიტუაციის დასარეგულირებლად სტადიონზე სამართალდამცავთა დამატებითი ძალები გამოიძახეს. ტაიმებს შორის შესვენებისას, გუნდების ქომაგებს შორის იყო გარკვეული დაპირისპირება, რასაც, მატჩის დასასრულს უკვე მოჰყვა ტრიბუნებიდან ნივთების სროლა. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სტადიონზე უსაფრთხოების ზომები სათანადოდ არ იყო დაცული, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საფეხბურთო კლუბი გორის „დილა“ დაჯარიმდეს 800 ლარით და ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ფოლკლორის ცენტრში სააღდგომო გამოფენა გაიხსნა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მითითებით აიგო: წმიდა ელენე დედოფალს ანგელოზი გამოეცხადა და უბრძანა, პირველად ამ ადგილისათვის ეჩუქებინა ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი. სწორედ ამ სანაწილესათვის მოჭედა თამაზ გოზალიშვილმა 240 სანტიმეტრიანი ვერცხლის ჯვრის ლუსკუმა (პერანგი), ასევე დაწერა კვიპროსის ყველა წმიდანის ჭედური ხატი, – განაცხადა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა.

თამაზ გოზალიშვილმა პერსონალურ გამოფენაზე წარმოადგინა 100-მდე ექსპონატი, მათ შორის, მოხერას მონასტრისა და კვიპროსის საკათედრო ტაძრის ხატების მცირე ზომის ასლები. სააღდგომო გამოფენა ფოლკლორის ცენტრში 15 მაისს დაიხურება.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სპეციალისტთა ჯგუფი ნანა ვალიშვილისა და არჩილ ბურჭულაძის ხელმძღვანელობით ქედის რაიონის სოფელ მერისიდან დაბრუნდა. მათ ფოლკლორის ცენტრის ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდიით ჩაიწერეს მერისის ფოლკლორული ანსამბლის „მოყვარეს“ რეპერტუარი – 15 სიმღერა. ექსპედიცია განხორციელდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ რეგიონული ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარის ჩაწერისა და აუდიოალბომების გამოცემის პროექტის ფარგლებში.

ფოლკლორის ცენტრის ხელშეწყობით, ბორჯომის სახალხო თეატრში გაიმართა „სამანიშვილის დედინაცვლის“ პრემიერა. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ზაზა კიკნაველიძემ, მხატვარია პეტრე დიასამიძე, კოსტიუმების მხატვარი – ნინია ჯაოშვილი, პლასტიკა – ნინო მდივნიშვილისა, ლოტბარი – რობერტ ნადირაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ ზაზა დოქსანოვი, ალეკო სტეფანიანი, თამარ გელაშვილი, ხატია ცხადაძე, გიორგი ხაჩიძე, მარიამ დოლიძე, დავით სამსონაძე, ლუიზა ოთარაშვილი, ზანგურ ანდღულაძე. სპექტაკლის შემდეგ გაიმართა შეხვედრა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სახალხო თეატრების მიმართულების ხელმძღვანელი ზურაბ ხვედელიძე და კოორდინატორი ზურაბ გუგუშვილი შეხვდნენ თეატრალურ დასს. ძირითადად, სპექტაკლი ყოველმხრივ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. მიუთითეს რამდენიმე შეცდომასა და ნაკლზე, რომელთა დაძლევა მომდევნო სპექტაკლისათვის თავისუფლად შეიძლება. აღინიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სახალხო თეატრები რეგიონებისა თუ რაიონებისათვის და რაოდენი სიხარული მოაქვს მაყურებლისათვის თითოეულ სპექტაკლს.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში ანსამბლმა „ლიახვმა“ ოსური ხალხური მუსიკის საღამო გამართა. ანსამბლმა შეასრულა 13 ოსური სიმღერა, რომელთა უმეტესობა შესულია ფოლკლორის ცენტრის მიერ გამოცემულ სანოტო კრებულსა და აუდიოალბომში „ოსური ხალხური სიმღერები“. ანსამბლის ხელმძღვანელია დავით ელბაქიძე, ლოტბარი – დავით ლალუშვილი. საღამო გახსნა ფოლკლორის ცენტრის მუსიკალური მიმართულების ხელმძღვანელმა ნანა ვალიშვილმა. მან კიდევ ერთხელ შეახსენა ხალხმრავალ აუდიტორიას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ფოლკლორის ცენტრის მიერ გამოცემული „ოსური ხალხური სიმღერები“, სულ 62 სიმღერა თანდართული აუდიოალბომით. კონცერტის დაწყებამდე მაყურებელმა ნახა კოლაჟი – ოსური სიმღერებისა და ცეკვების ფრაგმენტები მხატვრული ფილმებიდან და უძველესი ჩანაწერებიდან. კონცერტს კი უძღვებოდნენ ცხინვალის თეატრის მსახიობი დალი დოიჯაშვილი და ანსამბლის ხელმძღვანელი დავით ელბაქიძე. მან დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს კონცერტის ორგანიზებაში.

– ანსამბლი „ლიახვი“ 35 წლის წინ დააარსა დავით ელბაქიძემ ცხინვალში და 1991 წლამდე იქვე მოღვაწეობდა, 1986 წელს „ლიახვს“ მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება. 2008 წლიდან „ლიახვი“ დროებით შეუერთდა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ნართებს“. გასული წლიდან ანსამბლი ისევ დამოუკიდებლად, თავდაპირველი სახელით გამოდის. ანსამბლის რეპერტუარშია ოსური საგმირო, ეპიკური, სახუმარო და საცეკვაო სიმღერები, ასევე ოს კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები, – აღნიშნა ანსამბლის ხელმძღვანელმა.

როგორც ფოლკლორის ცენტრში განმარტეს, ოზურგეთის ფოლკლორულ ანსამბლებს ახალი კონსულტანტი ჰყავთ. ეს თანამდებობა გური სიხარულიძემ დაიკავა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ფოლკლორის ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი გაემგზავრა ოზურგეთში. ამ მივლინების მიზანს წარმოადგენდა გამონახულიყო საშუალება, რათა არ დაიკარგოს გურული მუსიკალური ფოლკლორის მემკვიდრეობა და მისი ახალგაზრდობისათვის გადაცემა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა შუამდგომლობით მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლების კონსულტანტად დანიშნულიყო, მომღერალი ანსამბლ „შალვა ჩემოს“ წევრი გური სიხარულიძე. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით გაიმართა გური სიხარულიძის წარდგენა და ღონისძიება ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.

ფოლკლორის ცენტრმა ახალი პროექტი წამოიწყო – „ქართული ფოლკლორი – XX საუკუნე“. პროექტის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, მეცნიერები, ეთნომუსიკოლოგები, ლოტბარები, მომღერლები, მოცეკვავეები, ქორეოგრაფ-ქორეოლოგები, ზეპირსიტყვიერების მკვლევრები, ხელოვნებათმცოდნეები, ეთნოგრაფები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები. პრეზენტაცია გახსნა ფოლკლორის ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა. მან ისაუბრა ახალი პროექტის მნიშვნელობაზე, ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემათა სერიაზე – პირველ ხუთტომეულზე.




– ამ ურთულესი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ცენტრის შემოქმედებით გუნდთან ერთად, აუცილებელია სპეციალისტთა ფართო წრის ჩართვა, კომპეტენტური სარედაქციო და ძირითადი სამუშაო ჯგუფების შექმნა, ქართული ენციკლიპედიის მთავარ რედაქციასთან მჭიდრო ურთიერთობა, ენციკლოპედიის ხელოვნების რედაქციის წევრთა კონსულტაციები, მთელ საქართველოში მასალების მოძიება, საზოგადოებისათვის ინფორმაციის განუწყვეტლივ მიწოდება, – აღნიშნა გიორგი უშიკიშვილმა.

ენციკლოპედიის თვითოეული ტომის შემადგენლობასა და ხასიათზე ისაუბრეს ტომეულთა მთავარმა რედაქტორებმა ბაია ასიეშვილმა და ამირან არაბულმა. ახალი პოექტის შესახებ აზრი გამოთქვეს მოცეკვავე ომარ მხეიძემ, მოცეკვავე-ქორეოგრაფმა გელოდი ფოცხიშვილმა. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ფოლკლორის ცენტრი საზოგადოებას უახლოეს მომავალში გააცნობს ენციკლოპედიის ტომეულთა სარედაქციო კოლეგიისა და ძირითადი სამუშაო ჯგუფების შემადგენლობას.

– ეს პროექტი არის ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემათა სერია ფოლკლორის სხვადასხვა დარგის გამოჩენილ შემოქმედთა და მოღვაწეთა შესახებ. ასეთი ტიპის გამოცემის იდეა თავად მეკუთვნის, რასაც დასაბამი მისცა ცენტრის ძველ არქივში დაცულმა მასალებმა – გამოჩენილი ლოტბარების, მომღერლების, მოცეკვავეების, ქორეოგრაფების, ქორეოლოგების, ზეპირსიტყვიერების ოსტატების, მეცნიერთა და მკვლევართა ბიოგრაფიებმა (დედნებმა), რომელთა მოძიება, ჩაწერა და შეგროვება დღესაც ინტენსიურად გრძელდება. ამ გამოცემებში, ბუნებრივია, შევლენ თანამედროვენი, რომელთა შემოქმედებასაც გასულ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. წინასწარი გათვლებით, შეგროვებული მასალების მოცულობის მიხედვით, ჩაფიქრებულია ენციკლოპედიური ტიპის ხუთტომეული, რომელიც ასე განაწილდება: პირველი ტომი – მომღერლები, ლოტბარები, ეთნომუსიკოლოგები; მეორე ტომი – ფოლკლორული ანსამბლები; მესამე ტომი – ქორეოგრაფები, მოცეკვავეები, ქორეოლოგები; მეოთხე ტომი – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები და ამ დარგის ხელოვნებათმცოდნეები. მეოთხე ტომი, ბიოგრაფიებთან ერთად, ალბომ-კატალოგის სახის იქნება; მეხუთე ტომი – ზეპირსიტყვიერება – სახალხო მთქმელები, ავტორმთქმელები (ნიმუშებითურთ), მკვლევრები; ფოლკლორის ცენტრი ამ პროექტს ნულიდან არ იწყებს. ქართულ ფოლკლორისტიკაში არსებობს საკმაოდ სოლიდური მასალა ფოლკლორის თითოეული დარგისა და მათ შემოქმედთა შესახებ, მაგრამ ეს იქნება პირველი ცდა ყველასა და ყველაფრის ენციკლოპედიურად თავმოყრისა და გაერთიანებისა. ფოლკლორის ცენტრის ახალი პროექტი დროში გათვლილია და იგი სამომავლოდ უფრო ფართო და ტევადი იქნება, მუშაობის პროცესში დაგროვებული მასალებისა და თემატიკის მიხედვით, შესაძლებელია ტომეულთა გაზრდა და შევსება. გამოცემათა სარედაქციო ჯგუფი საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. მასში, ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტებთან ერთად, შევლენ ცნობილი ფოლკლორისტები, მეცნიერები და მკვლევრები. სარედაქციო ჯგუფის წევრები მასალებს მოიძიებენ ადგილებზეც – რაიონებში, სოფლებში, კერძო კოლექციებში, ოჯახებსა და მუზეუმებში, – განაცხადა გიორგი უშიკიშვილმა.

ფოლკლორის ცენტრის მხარდაჭერით გამოიცა ომარ კელაპტრიშვილის ალბომიც. კასპში, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურისა და მუზეუმების გაერთიანების ინიციატივით, გაიმართა ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის კლასიკოსის, სალამურის ლეგენდის, უებრო მეფანდურისა და მედუდუკის ომარ კელაპტრიშვილის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. კასპში უამრავი სტუმარი შეიკრიბა მომღერლები, მოცეკვავეები, ლოტბარები, ქორეოგრაფები, პოეტები, მწერლები, ფოლკლორისტები, ომარ კელაპტრიშვილის კოლეგები, მოწაფეები.

– ეს იუბილე კასპელებისათვის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კასპის კულტურის ცენტრის წინ სალამურის ლეგენდის ბიუსტი გაიხსნა. საიუბილეოდ გამოიცა აუდიოალბომი – ომარ კელაპტრიშვილის 28 ინსტრუმენტული კომპოზიცია. გადაჭედილი დარბაზი, სტუმართა თუ გამომსვლელთა სიმრავლე მოწმობდა, თუ რაოდენ უკვდავია ომარ კელაპტრიშვილის ფენომენი, ხალხს როგორ უყვარს და აფასებს ღირსეულ შვილს, – აღნიშნა ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელმა.

საღამოს უძღვებოდა მსახიობი დიმიტრი ჯაიანი. გამომსვლელებმა ანზორ ერქომაიშვილმა, ფრიდონ სულაბერიძემ, რეზო მიშველაძემ, ელიზბარ ჯაველიძემ, მარლენ ეგუტიამ ისაუბრეს ომარის ღვაწლსა და ვირტუოზულ ნიჭზე, მის დამსახურებასა და მნიშვნელობაზე ქართულ ხალხურ საკრავიერ ხელოვნებაში. პოეტებმა ვაჟა ოთარაშვილმა და თემურ ჩალაბაშვილმა წაიკითხეს ომარ კელაპტრიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები. კონცერტში კი მონაწილეობდნენ ძველი და ახალი „რუსთავის“ მომღერლები და მოცეკვავეები, ანსამბლი კელაპტარი ანა ბაჯიაშვილი და ლია ხუნწარია, ლელა თათარაიძე, თსუ ანსამბლი „გორდელა“, ალეკო ხიზანიშვილი და ხვიჩა ღვთისიაშვილი, მედუდუკეთა კვარტეტი ელდარ შოშიტაიშვილის ხელმძღვანელობით და ომარ კელაპტრიშვილი (უმცროსი). ღონისძიების დასასრულს, ომარ კელაპტრიშვილის მეუღლემ, ციმი კელაპტრიშვილმა, მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გამგებელ ოლეგ იაძეს, ანსამბლ „რუსთავსა“ და მის ხელმძღვანელებს ანზორ ერქომაიშვილსა და ფრიდონ სულაბერიძეს, დამსწრე საზოგადოებასა და სტუმრებს, საღამოს წამყვანს, რეჟისორსა და პროდიუსერ თემურ ხუციშვილს, დიმა ჯაიანსა და სოსო აბზიანიძეს. აუდიოალბომის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლებასა და ცენტრის დირექტორს გიორგი უშიკიშვილს.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აგრძელებს რვაწლიანი მუშაობის ანგარიშის წარდგენას. ცენტრის საკონფერენციო დარბაზში ფართო საზოგადოებისათვის, ქორეოგრაფიული წრეებისათვის, მოცეკვავეთათვის და ქართული ხალხური ცეკვით დაინტერესებული პირებისათვის ქორეგრაფიული ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა უჩა დვალიშვილმა წარადგინა რვაწლიანი მუშაობის ანგარიში: ექსპედიციები, მასტერკლასები, ფოლკლორის ეროვნული პრემია, დივიდი-ალბომი, დათვალიერება-ფესტივალი, საღამოები, შეხვედრები, პრეზენტაციები.

დამსწრე საზოგადოებას ასევე საშუალება მიეცა, გასცნობოდა ცენტრის ძველსა და ახალ არქივს, არქივის ელექტრონულ პროგრამას, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული და ხელმისაწვდომია საარქივო საქმიანობის სფეროში. ასევე, საინფორმაციო ცენტრის გამოყენებისა და სარგებლობის წესებს.

ცენტრში ასევე გაიმართა შეხვედრა ზეპირსიტყვიერების დარგის წარმომადგენლებთან, სადაც შედგა რვაწლიანი მუშაობის ანგარიში და ცენტრის ძველი და ახალი არქივის, ელექტრონული პროგრამის პრეზენტაცია. ფოლკლორის ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელმა ეთერ თათარაიძემ მაყურებელს წარუდგინა 2005-2006 წლების ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის მიმდინარეობა, ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამოები „ლექსო, არ დაიკარგები“, ექსპედიციები, გამოცემები – კრებულები და აუდიოალბომები, პრეზენტაციები, გამოფენები, ფოლკლორის ეროვნული პრემია და ამ რვა წლის განმავლობაში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიება. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ცნობილი მწერლები და პოეტები, მეცნიერები, ქართული უნივერსიტეტის პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი მაია მანჯგალაძე და მეცნიერ-თანამშრომელი ნათელა ჭინჭარაული; ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ტრისტან მახაური; არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორები გიორგი გოგოჭური და გოგა რჩეულიშვილი; თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი თამაზ ავალიშვილი; აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი ცაცო კოტეტიშვილი; ფოლკლორისტი, პროფესორი ნანა კოტეტიშვილი. ფოლკლორის ცენტრის არქივის თანამშრომლებმა დამსწრეთ პრაქტიკულად უჩვენეს საარქივო ელექტრონული პროგრამის მართვის სისტემა და გამოყენების პრინციპი. ზეპირსიტყვიერების მიმართულების მუშაობა და არქივის ელექტრონული პროგრამა დადებითად შეაფასეს მაია მანჯგალაძემ, ტარიელ ფუტკარაძემ და ამირან არაბულმა. მაია მანჯგალაძემ ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და ფოლკლორის ცენტრს შორის თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

გიორგი უშიკიშვილი კვლავაც აგრძელებს საავტორო გადაცემას ფოლკრადიოს ეთერში და სტუმრად ქორეოგრაფებს ეპატიჟება. ამჯერად მისი საავტორო გადაცემის სტუმრები იყვნენ ლევან ალიაშვილი, ბაქარ ხინთიბიძე, გელა ფოცხიშვილი, ქრისტინე მამასახლისი, ალეკო გელაშვილი.

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 3. საჭმელი სოკო; 4. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 5. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. მცირე ამპლიტუდის რხევები; 11. აშშ-ს პირველი პრეზიდენტი; 12. ლიბანის დედაქალაქი; 15. ძროხის ხორცის დაბეგვილი და შემწვარი ნაჭერი; 16. მდინარე კიევში; 17. რიცხვებითა და ასოებით გამოსახული მათემატიკური ნიშნებით შეერთებული სიდიდეების ერთობლიობა; 20. უნგრული ღვინო.

**თარაზულად**: 6. საცეკვაო ხელოვნება; 7. ხეხილის ბაღი; 8. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 9. ფრანგი მწერალი, ნოველისტი; 13. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება აშშ-სა და ინგლისში; 18. გასართობი თავსატეხი; 19. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 21. საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 22. მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე; 23. თბილისელი გიტარისტი, მომღერალი, პოეტი მამაკაცი; 24. დიდი სახაზავი შიშა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომეში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუდზონი; 2. „სინოპეკი“; 3. სტურუა; 4. „დუკლა“; 5. დიამეტრი; 8. „ფალსტაფი“; 12. დოხა; 13. „საგურამო“; 14. მიკადო; 16. ჯომარდი; 18. გორდა; 20. სარი.

**თარაზულად:** 6. სუფლიორი; 7. ბატიბუტი; 8. ფაგოტი; 9. კოალა; 10. აბორდაჟი; 11. „გარდიანი“; 15. კალიფორნია; 17. შაპიტო; 19. დიოსკურია; 21. ტანკერი; 22. ჩოხატაური; 23. „ჰილტონი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰოლდინგი; 2. მენისკი; 3. სტუკო; 4. „ფაიზერი“; 5. თამბაქო; 10. მალარინი; 11. ეფრემველდი; 12. სილეზია; 15. პარტიტურა; 16. სეტბი; 17. „ბურნაკუ“; 20. ცერნი.

**თარაზულად:** 6. კონცენტრატი; 7. „სალაიმი“; 8 პრომილე; 9. ენესკუ; 13. „კოდა“; 14. „აფონია“; 18. დეკორაცია; 19. „ზურჟე“; 21. ვერძი; 22. გიურზა; 23. რუზერიოდი; 24. ტრანზიტი.

# ბოლივია „იუესაიდს" ქვეყნიდან აძევებს



ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა განაცხადა, რომ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (უესაიდი) წარმომადგენლებს ქვეყნიდან იწვევს. პრეზიდენტმა სააგენტო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა.

ბოლო წლების განმავლობაში ამერიკასა და ბოლივიას შორის არასახარბიელო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. 2008 წელს ბოლივიის ხელისუფლებამ ამერიკის ელჩს ქვეყნის დატოვება მოსთხოვა. თავის მხრივ ამერიკამ ვაშინგტონში ბოლივიის ელჩი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. 2011 წლის ბოლოს კი ქვეყნები ურთიერთობის აღდგენაზე შეთანხმდნენ და შესაბამის შეთანხმებასაც მოაწერეს ხელი. ამ შეთანხმების მიხედვით, მხარეები ნარკოტრეფიკინგთან ბრძოლაში თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. მხარეებმა ასევე აღნიშნეს, რომ საელჩოების მუშაობასაც აღადგენდნენ.

ცნობისთვის, ხუან ევო მორალეს აიმა ესპანეთის კოლონიზაციიდან მოყოლებული ბოლივიის პირველი ადგილობრივი მმართველია.

დაიბადა ღარიბი ინდიელი გლეხის ოჯახში. მისივე სიტყვებით: „ერთადერთი, რაც ჩვენს სახლში მუდმივად იდგა, ეს იყო სიმინდის ტომარა, მისგან დედა გვიმზადებდა საუზმეს, სადილს, ვახშამს. დღესასწაულებზე დედა გვაძლევდა გამხმარი ხორცის პატარა ნაჭრებს". მას საშუალო განათლება არ მიუღია. მისი ოჯახი გადასახლდა ქალაქ ორუროში, საიდანაც იგი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც იგი უკრავდა სამხედრო ორკესტრში. 1980-იანი წლების დასაწყისში იგი გაემგზავრა ქვეყნის მთიან რეგიონში, რომელიც ცნობილი იყო კოკაინის ხის პლანტაციებით. რამდენიმე ხანში იგი გახდა კოკაინის ხის მწარმოებელთა პროფკავშირის ლიდერი.

1995 წელს დააარსა პოლიტიკური „მოძრაობა სოციალიზმისაკენ" და მონაწილეობა მიიღო ეროვნული კონგრესის არჩევნებში.

2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დაიკავა მეორე ადგილი, ხოლო 2005 წლის 18 დეკემბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატებას მიაღწია. პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა 2006 წლის 22 იანვარს. ასევე წარმატებას მიაღწია 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და მიიღო ხმების 63 %.

# ბაშარ ასადი საჯაროდ გამოჩნდა

„სი-ენ-ენის" ცნობით, სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი, რომელიც იშვიათად ჩნდება ხალხში, გუშინ მშრომელთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, დამასკოში, უმავენის ელექტროსადგურზე მივიდა. მან 1 მაისი სადგურის თანამშრომლებს და სხვა სირიელებს მიულოცა.

ასადის განცხადებით, ტერორისტები და მათი მხარდამჭერები, ქვეყანაში სიბნელის დასადგურებას ცდილობენ. ეს იქნება როგორც ინტელექტუალურ და კულტურულ სფეროში ასევე პირდაპირი გაგებით, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით.

სირიის პრეზიდენტმა ელექტროსადგურის თანამშრომლებს „მდგრადობისა და ტერაქტების პარალელურად სრულყოფილი მუშაობისთვის" მადლობა გადაუხადა.

ოპოზიციის ინფორმაციით, მხოლოდ გუშინ ქვეყანაში, სულ მცირე, 50 ადამიანი მოკლეს.

რუსეთის საზღვაო ძალების წარმომადგენლმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ რუსეთის გემები მზად არის სირიიდან რუსეთის მოქალაქეები გაიყვანოს. რუსეთში სირიის ელჩის რიად ჰადადის თქმით, სირიაში 35.000-40.000 რუსი ოჯახი ცხოვრობს. მისი თქმით, აქამდე ქვეყანა მხოლოდ ასმა ოჯახმა დატოვა.

გუშინ, რადიკალურმა დაჯგუფებამ „ჰეზბოლამ" განაცხადა, რომ რომ სირიას „ჰყავს ნადვილი მეგობარი, რომელიც არ დაუშვებს რომ ეს ქვეყანა ამერიკის, ისრაელის ან ისლამისტი ექსტრემისტების ხელში აღმოჩნდეს".



თურქეთის განვითარებისა და სამართლიანობის პარტიის ერთ-ერთი წევრი თურქულ მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ ირანის ისლამური რევოლუციის გვარდია სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებას აკონტროლებს.

წყაროს ინფორმაციით, პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ქიმიური იარაღის გამოყენებაზე თავდაპირველად უარი თქვა, თუმცა ის იძლებული გახდა დათანხმებულიყო მას შემდეგ, რაც ირანმა მასზე ზეწოლა გააძლიერა.

ასადი თითქოს-და ქიმიური იარაღის გამოყენების შეზღუდვას დათანხმდა, რათა ამას მოსაზღვრე ქვეყნებზე არ ემოქმედა.

# გაერო-ს მონაცემებით, ერაყში აპრილში ტერაქტების შედეგად 712 ადამიანი დაიღუპა და 1633 დაშავდა

712 ადამიანი დაიღუპა და 1 633 დაშავდა ერაყში აპრილის თვეში განხორციელებული ტერაქტებისა და არეულობების შედეგად. ამის შესახებ ერაყში გაერო-ს მისია იუწყება.

ბრიტანული „ტელეგრაფის" ინფორმაციით, 2008 წლის შემდეგ, წლევანდელი აპრილი ქვეყნისთვის ყველაზე სისხლიანი გამოდგა.

ერაყის სხვა ქალაქებს შორის, ყველაზე მეტად დედაქალაქი ბაღდადი დაზარალდა, სადაც 211 ადამიანი დაიღუპა.

გაერო-ს მისიის მონაცემებით, გარდაცვლილთაგან 595 მშვიდობიანი მოქალაქე და პოლიციელია, 117 კი ჯარისკაცია.

გუშინ, ერაყის რამდენიმე ქალაქში ერთდროულად განხორციელებულ აფეთქებას 12 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას „ბიბისი" ავრცელებს.

წინასწარი ინფორმაციით, ქვეყნის დედაქალაქთან ახლოს მდებარე ქალაქ ფალუჯასთან მომხდარი აფეთქების შედეგად ადგილობრივი სუნიტთა საბჭოს ოთხი წევრი დაიღუპა. მეორე აფეთქება ბაღდადის ჩრდილოეთით, ქალაქ ბაიჯიში მოხდა, რომელსაც ოთხი პოლიციელი ემსხვერპლა, ხოლო მესამე აფეთქება კი ბაღდადის აღმოსავლეთით დანაღმული ავტომანქანაით განხორციელდა, რომელსაც ოთხი ადამიანი შეეწირა. მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას საკუთარ თავზე არ აუღია.

ერაყში სუნიტებსა და პოლიციას შორის დაძაბულობა აპრილის ბოლოს განსაკუთრებით გამწვავდა. სუნიტები შიიტი ხელისუფლების მმართველობას აპროტესტებენ.

# აბდულატიპოვმა დაღესტანში უსაფრთხოების ზომების გაძლიერების ბრძანება გასცა

„ეხო კავკაზას" ცნობით, დაღესტანის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა რამაზან აბდულატიპოვმა გუშინ მახაჩყალაში მომხდარი აფეთქების შემდეგ რესპუბლიკაში უსაფრთხოების ზომების გაძლიერების ბრძანება გასცა.

1 მაისს მახაჩყალაში მომხდარ ძლიერ აფეთქებას ორი არასრულწლოვანი ემსხვერპლა და ორი დაშავდა.

„ტერაქტთან დაკავშირებით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა საგანგებო თათბირი მოიწვია, სადაც სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს ამ სასტიკი თავდასხმის გამოძიების პირად კონტროლზე აყვანა მოსთხოვა. ხელისუფლებამ ყველა დაზარალებულის დახმარების ბრძანებაც გასცა", — საუბარია რესპუბლიკის პრეზიდეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.



აბდულატიპოვმა გარდაცვლილთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა. მისი თქმით, დაღესტანში ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლა, ყოყმანის გარეშე, ბოლომდე მივა.

„მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ფედერალური ძალების მიერ 73 ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი, მათ შორის 15 მეთაურია განადგურებული", — ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის შს სამინისტრო ავრცელებს.

მათივე მონაცემებით, ამავე პერიოდის განმავლობაში დაკავებულია 88 ბოევიკი და მათი თანამზრახველი. ამავე დროში სამართალდამცავ ორგანოებში თავისი ნებით გამოცხადდა და აღიარებითი ჩვენება მისცა ჩრდილოკავკასიელ მებრძოლთა ექვსი თანამზრახველი.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

შპს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ცენტრის თანამშრომელს, ექიმ ლალი კუჭაიძეს გარდაეცვალა მამა

**ვიტალი კუჭაიძე**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

მეუღლე გივი სურვილაძე, შვილები ზურაბი, არჩილი, შვილიშვილები ნინო, ანა, რძალი თამარი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლეილა სერგოს ასული ამაღლობელი**

პანაშვიდი: 2, 3 მაისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 4 მაისს, 15 საათზე.

მისამართი: გიგო გაბაშვილის ქუჩა №4, II სადარბაზო, ბინა 26 (მეტროსადგური „დელისი").

---

ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის აკადემიური დასი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აღნიშნული დასის პირველი თაობის ღვაწლმოსილი მოცეკვავე, საქართველოს დამსახურებული არტისტი

**ლეილა ამაღლობელი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ილიკო თაყაიშვილი, თენგიზ უთმელიძე, შალვა გარუჩავა, ვალიკო მაისურაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლეილა ამაღლობელი**

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

უფალმა ნათელში ატაროს სული მისი.

---

ციალა, ბელა, იზოლდა ადამიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან დეიდაშვილის

**ლია ლაკიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გია, ნინო ლაკიებსა და ახლობლებს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ოთარ სტაჟაძის ხსოვნას



ჩვენგან უდროოდ წავიდა სიკეთით, კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი, კაცი, რომელიც მუდამ სხვის კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე ზრუნავდა — ბატონი ოთარ სტაჟაძე — საქართველოს პენსიონერთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი, გაზეთ „უხუცესთა მაცნეს" მთავარი რედაქტორი.

ბატონი ოთარ სტაჟაძე დაიბადა 1930 წელს ამბროლაურის რაიონში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი. მუშაობდა ბორჯომში რაიონული გაზეთის „ბორჯომის" რედაქტორად, თბილისის ჟურნალ „ჟურნალისტის" რედაქტორის მოადგილედ, გაზეთ „მაცნეს" რედაქტორის მოადგილედ, თავდაცვის სამინისტროს „სამხედრო აზრის" რედაქტორად.

ბატონი ოთარის მიერ გამოშვებული გაზეთი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალპროფესიონალიზმით, პატრიოტიზმით, ლაკონურობითა და სტატიების მრავალფეროვნებით.

გაზეთი „უხუცესთა მაცნე" ბატონი ოთარის რედაქტორობით დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში, განსაკუთრებით ასაკოვან მოსახლეობაში, პენსიონერებში. ობიექტურად, რეალურად შუქდებოდა პენსიონერების ცხოვრებისეული საკითხები, მათი გასაჭირი და ნაკლოვანების გადაჭრის გზები მატერიალური და მორალური მხარდაჭერის საშუალებები. იგი ყოველთვის იყო მართალი სიტყვისა და მართალი საქმის სამსახურში.

გაზეთი ფართოდ აშუქებდა იმ მოვლენებსა და საკითხებს, ოფიციალურ მასალებს, რომელიც სახასიათოა ყოველდღიური ცხოვრებისათვის, პენსიონერების მოსაზრებებს, გასართობ მასალებს, იუმორისტულ საკითხებს და სხვას.

ოთარ სტაჟაძე იყო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული ჟურნალისტი. იგი პუბლიცისტურ საქმიანობასაც ეწეოდა. მის კალამს ეკუთვნის ორი წიგნი: „ორომტრიალი" და „რა ხდებოდა ბორჯომში".

იგი არის მრავალი სტატიისა და წიგნის ავტორი.

ბატონი ოთარი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ემსახურა საქართველოს პენსიონერთა კავშირის მრავალათასიან წევრს.

საქართველოს პე:ნსიონერთა კავშირის გამგეობა პატივს მიაგებს უკეთილშობილეს ადამიანსა და კარგ მამულიშვილს, ბატონი ოთარის ხსოვნას და მუდამ ემახსოვრებათ იგი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**პარასკევი**
**3 მაისი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „ბორჯია„ 17.00 დ/ფ „მარი კიური„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშით„ 21.00 ტ/სერ „ბორჯია„ 22.00 მხ/ფ „დაუვიწყარი მოგზაურობა„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „ერთი წლის ცხრა დღე„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00, 16.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 4-5 ნაწ. 14.00 დ/ფ „პირველი ეთიოპელი ქრისტიანიბერების კვალდაკვალ„ 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 ქ/სერ. „ღმერთო რისი გულისთვის – უმადური„ 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ. „მაგნატები„ 2 სერ. 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 დოკ/ფ „პატრიარქის იუბილე„ 00.15 მხ/ფ „წერილები ჯულიეტასთვის„ (ა.საიფრედი) 02.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „მონასტრის ბინადარნი„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 დოკ/ფ „დავით გარეჯი„ II ნაწ. 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 დოკ/ფ „გზა„ V ნაწ. 13.05 ეთნოგრაფია 14.10 დოკ/ფ „ვნების კვირა წმინდა მიწაზე„ V ნაწ. 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 დოკ/ფ „წმინდა ოთხავი„ იოანეს სახარება 17.00 საუბრები ლიტერატურაზე 18.10 დიდი მარხვა 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 დიდი პარასკევი 19.45 დოკ/ფ „გზა მაცხოვრისა„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.20 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 დოკ/ფ „გარდამოხსნა„ 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 8.00, 9.00, 1.00, 6.30 ახალი ამბები 8.10, 9.15 მაღვიძარა 11.00, 17.00, 22.20, 0.30 მაგთიფანი 11.30, 16.40 აბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.00, 4.30 თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.00 პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.05, 2.00 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„ 19.15 სერიალი „სიყვარული და სასჯელი„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.30 „ყოველდღიური აბები„ 23.00, 3.00 თოქ—შოუ -„პოლიტმეტრი„

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6508

ევრო — 2,1602

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5635

100 რუსული რუბლი — 5,2816

## ამინდის პროგნოზი 3 მაისისთვის





25 აპრილიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები




უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## ასტროპროგნოზი 3 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი. **კურო** — სახლში სიახლეა, თანაც კარგი. **ტყუპები** — საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** — ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე იშოვით. **ლომი** — მალე გამოჯანსაღდებით, მთავარია მოინდომოთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** — არ აყვეთ სხვებს, თავს მიხედეთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია მოინდომოთ. **მერწყული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **თევზები** — ფული გაქვთ, პრობლემებს მოევლება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. დარბაზის ფეხბურთი; 2. ტბა ნინოწმინდის რაიონში; 3. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 4. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 8. ვენესუელას დედაქალაქი; 12. ემილ ზოლას რომანი; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება; 14. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 16. ქართველი ადვოკატი, პოლიტიკოსი, დეპუტატი ქალი; 18. აბრეშუმის ჭიის თესლი; 20. ყურძნის არაყი.

**თარაზულად**: 6. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ბრაზილიური არაყი; 9. თბილ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მარადმწვანე მცენარე; 10. ბაქტერიების მშანთქმელი უჯრედი ცოცხალ ორგანიზმში; 11. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 19. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი; 21. საგამოფენო შენობა; 22. რაიმე საქმის ზერელედ მცოდნე; 23. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# პლატინის ვიზიტზე არველაძემ ისაუბრა

ფუტსალის თასის ოთხთა ფინალზე დასასწრებად ჩამოსულმა უეფას პრეზიდენტმა, თბილისში ოფიციალური შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან და მთავრობის წევრებთან გამართა.

შეხვედრის დეტალები არ გახმაურებულა, თუმცა, ფაქტია, რომ საუბარი ქართულ ფეხბურთზე და სამომავლო პროექტებზე იქნებოდა.

მიშელ პლატინის ვიზიტზე კომენტარი სფფ-ის გენერალურმა მდივანმა — რევაზ არველაძემ გააკეთა.

**რევაზ არველაძე:**

— უეფას პრეზიდენტის ვიზიტი ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა და ასე იყო ახლაც. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ საქართველომ მიშელ პლატინის კიდევ ერთხელ უმასპინძლა. შედგა ძალზე მნიშვნელოვანი და პოზიტიური შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, რომელსაც მე და ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ვესწრებოდით. დაისახა კონკრეტული გეგმები და ითქვა, რომ სახელმწიფო აუცილებლად დაეხმარება ქართულ ფეხბურთს. რაც მთავარია, პლატინი დაესწრო უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალის გახსნას და უზომოდ კმაყოფილი წავიდა. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპორტის სასახლეში არსებულმა ატმოსფერომ, უამრავმა გულშემატკივარმა... ძალიან გვიხარია, რომ უეფას პრეზიდენტი კმაყოფილი დარჩა. ფუტსალის ეს ტურნირი ხომ ფაქტიურად, გენერალური რეპეტიცია იყო 2015 წლის სუპერთასისთვის. **მ. ჟ.**



# სოფო ნიჟარაძე პოეზიის ფესტივალზე იმღერებს



ქართველი მომღერალი, სოფო ნიჟარაძე, მეზობელ თურქეთში მიიწვიეს. მომღერალი ამჯერად იზმირის მერვე საერთაშორისო პოეზიის ფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგება.

როგორც სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, იზმირის მე-8 საერთაშორისო პოეზიის ფესტივალზე სოფო ნიჟარაძე 4 მაისს იმღერებს. ქართველი მომღერალი, სხვა სიმღერებთან ერთად, შეასრულებს სიმღერას თურქულ ენაზეც, რომლის ტექსტის ავტორიც ცნობილი თურქი პოეტი, საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი თაყვანისმცემელი ათაოლ ბეჰრამოღლუა, ხოლო კომპოზიტორი ქართული კულტურის, განსაკუთრებით, ქართული სიმღერების მოტრფიალე — ერჰან დოღანი. 5 მაისს კი სოფო ნიჟარაძე მიწვეულია თურქული ტელევიზიის საკვირაო პროგრამაში, რომელსაც 1.5-2.2 მილიონი ადამიანი უყურებს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფო ნიჟარაძე ეკრანზე აქტიურად აღარ ჩანს, იგი შემოქმედებით მოღვაწეობას აგრძელებს და უკვე ალბომისთვის გაკეთებული ოფიციალური ფოტოსესიის ვიდეოვერსიაც შეიმუშავა, რომლისთვისაც ფოტოები გრეგორი რეჯინმა გადაიღო.

მარტში კი ბათუმის ბულვარში საზაფხულო თეატრის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტში სოფო ნიჟარაძემ მონაწილეობა მიიღო სპეციალურ კონცერტში, რომელშიც მასთან ერთად ლუკა ზაქარიაძემ, სალომე კორკოტაშვილმა და ნიაზ დიასამიძემ იმღერეს.

ამჯერად ქართველი მომღერალი უკვე თურქეთში მიემგზავრება, სადაც იზმირის რიგით მერვე პოეზიის ფესტივალზე საპატიო სტუმრის სტატუსით წარდგება.

**ეკა ირემაშვილი**

# მარჯანიშვილის თეატრი ლონდონში მიდის

6-11 მაისს მარჯანიშვილის თეატრი ტრიუმფალურად დაბრუნდება ლონდონში, შექსპირის გლობუსში, სადაც უკვე 6 სპექტაკლს ითამაშებს.

– 2012 წლის მაისში მარჯანიშვილის თეატრი სპექტაკლით „როგორც გენებოთ“ მიწვეული იყო დიდ ბრიტანეთში, ლონდონში, შექსპირის ფესტივალზე „მსოფლიო გლობუსში“. ეს ფესტივალი წლის ყველაზე მნიშვნელოვან თეატრალურ მოვლენად არის აღიარებული და მიღებული აქვს თეატრალური ჯილდო „ზი თაიმ აუტ 2012“. ამ უნიკალურ ფესტივალში მონაწილე 37 სცენურ ნამუშევარს შორის ერთ-ერთ ყველაზე მომაჯადოებელ და დაუვიწყარ დღესასწაულად „როგორც გენებოთ“ დაასახელა, როგორც რიგითმა მაყურებელმა, ასევე თეატრის კრიტიკოსებმა. ასე რომ, შექსპირის სამშობლოში, შექსპირის სახლში, გლობუსის თეატრში 6-დან 11 მაისის ჩათვლით მარჯანიშვილის თეატრი გლობუსში ბრუნდება, – განაცხადა მარჯანიშვილის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა თამუნა ლალიაშვილმა.

უილიამ შექსპირის „როგორც გენებოთ“ რეჟისორმა ლევან წულაძემ დადგა. გაზეთმა „გარდიანმა“ ქართველების შექსპირი 5 ვარსკვლავით შეაფასა.

— თუ საქართველოს სხვა თეატრების დონე ოდნავ მაინც უახლოვდება მარჯანიშვილის თეატრისას, მაშინ თეატრის კრიტიკოსის პროფესია ამ ქვეყანაში უდავოდ ყველაზე სანატრელად უნდა მივიჩნიოთ. ამ თეატრის განუმეორებელი წარმოდგენის — „როგორც გენებოთ“ — დასასრულს დარბაზი ფეხზე ადგა და დასს ასე მოუწყო ოვაცია, — ასე აფასებს ქართულ სპექტაკლს „გარდიანი“.

უილიამ შექსპირის „როგორც გენებოთ“ ადაპტირების ავტორია ლაშა ბუღაძე, კომპოზიტორი — ვახტანგ კახიძე, მუსიკალური გამფორმებელი — ზურაბ გაგლოშვილი, ქორეოგრაფი — გიორგი მარღანია, კოსტიუმების მხატვარი — ნინო სურგულაძე, რეჟისორის ასისტენტი — ნინო ჟორჟოლიანი. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ონისე ონიანი (ლე ბო), როლანდ ოქროპირიძე (ჩარლი/ამიენსი), ზურაბ ბერიკაშვილი (სილვიუსი), ნიკა კუჭავა (ორლანდო), დავით ხურცილავა (კორინი), ბესო ბარათაშვილი (ჰერცოგი ფრედერიკი/ყოფილი ჰერცოგი), მალხაზ აბულაძე (თაჩსთოუნი), ნიკოლოზ თავაძე (ოლივერი), თამარ ბუხნიკაშვილი (ფებე), ნატა მურვანიძე (ჟაკი), ქეთევან ცხაკაია (ადამი), ქეთევან შათირიშვილი (როზალინდა), ნატო კახიძე (სელია), მანანა კოზაკოვა (ოდრი).



ლევან წულაძის სპექტაკლი ქართველმა მწერალმა ლაშა ბუღაძემ ასე შეაფასა:

— წელს ქართული ენა პირველად გაიჟღერებს გლობუსის სცენაზე. 2012 წელს ლონდონის გლობუსის თეატრში 37 ენაზე ამეტყველდება შექსპირი. თუმცა ეს არ იქნება თეატრალური ბაბილონი, აქ ყველაფერი დაემორჩილება უილიამ შექსპირს, რადგან აქ ყველაფერი შექსპირის კანონებით, შექსპირის ენით იმოქმედებს. ერთ-ერთი ამ 37 ენიდან ქართულია. მარჯანიშვილის თეატრი გლობუსის სცენაზე წარმოადგენს შექსპირის ყველაზე უფრო უცნაურ პიესას „როგორც გენებოთ“: ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ მტრობენ და იყვარებენ ერთმანეთს ღვიძლი ძმები, როგორ მოულოდნელად იცვლება ადამიანთა ცხოვრება ერთი შეხედვით ამოუცნობი მოვლენების გამო; ამბავს ტყეში მიმოფანტული წმინდანების, შეყვარებულების, გარეული მხეცებისა და კაცად გადაცმული თამამი ქალწულების შესახებ. მაშინ, როდესაც ქართველები ქართულ ენაზე აამეტყველებენ შექსპირს, გლობუსი ერთ დიდ უსიერ ტყედ გადაიქცევა, გაჩერდება დრო და აღარაფერი იქნება მნიშვნელოვანი, გარდა იმ ამბისა, რომელშიც შექსპირი შეგვიტყუებს, შეგვიტყუებს, როგორც ტყეში. ამბობენ, რომ ეს პიესა, ერთი მხრივ,

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ლურჯი წითელი ყვითელი შავი